დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ აბაზაძე

წევრები:

ნათია ფხალაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი-წევრი);

ლია ბოგვერაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი-წევრი);

ლელა კაკაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი-წევრი);

თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი-წევრი);

ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი-წევრი);

ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი-წევრი);

თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი-წევრი);

ნინელი ცერცვაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი-წევრი);

ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი-წევრი);

ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი-წევრი);

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	243874811

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. ხაშური
იურიდიული მისამართი	შოთა რუსთაველის ქN50
ფაქტობრივი მისამართი	შოთა რუსთაველის ქN50
საფოსტო ინდექსი	5700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge)
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	khashuri3@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0368242162 0368246079

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 3 23 0000961926 03.08.2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	18 და19 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლ ო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლ ო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქ. ხაშური; შოთა რუსთაველის ქN50
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქ. ხაშური; შოთა რუსთაველის ქN50

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქ. ხაშური; შოთა რუსთაველის ქN50

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლაში 2023 წლის 18 და 19 სექტემბერს, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, შეთანხმდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ პედაგოგებს და მოიპოვეს საჭირო ინფორმაცია საგნობრივ პროგრამებთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა დაათვალიერა სასწავლო გარემო. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა, სკოლის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ხაშურის N3 საჯარო სკოლაში დასაქმებულები არიან მოტივირებული მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული პედაგოგიური კოლექტივი. პედაგოგთა უმრავლესობა ჩართულია არაერთ საერთაშორისო პროექტში, ამ პროგრამაში ჩართვით პედაგოგები იღებენ და უზიარებენ ერთმანეთს ახალ ცოდნას, გამოცდილებას და ცდილობენ ყოველი სიახლე დანერგონ სასკოლო სივრცეში. სასკოლო ცხოვრებაში მშობლთა ჩართულობისათვის , სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა სათათბირო რგოლი. რაც გულისხმობს მშობელსა და სკოლას შორის რეგულარულ, ორმხრივ, შედეგზე ორიენტირებულ თანამშრომლობას. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ხაშურის N3 საჯარო სკოლაში, მშობელი სკოლის სრულუფლებიანი პარტნიორია.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ---------- 1000	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა მღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
.		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

.		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი**	***ხარვეზი***

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული**	

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლამ უზრუნვალყოს შესაბამისობის გეგმის მიხედვი განსაზღვრულ ვადებში: ა) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით ინფრასტრუქტურის მოწესრიგება – სველი წერტილების დამატება; ბ) საკანალიზაციო არხების მოწესრიგება.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის	სკოლას შემუშავებული და შთანხმებული აქვს სკოლის საგანგებო მართვის გეგმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო

	საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	საქვეუწყებო დაწესებულება– საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვის მიზნით,კვლავ მიმართოს შესაბამის ორგანოებს სკოლაში შექმნილ არსებული სიტუაციის გამოსწორების მიზნით.
ინდიკატორი N3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისას გაითვალისწინოს მოძრავი პანდუსის დამონტაჟება, შშმ პირთათვის სკოლის მთელ ტერიტორიაზე ადვილად გადაადგილებისათვის.
ინდიკატორი N3.5.1.5	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები	რჩევა: სასურველია სკოლამ გამოყოს შესაბამისი სივრცე საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიისთვის
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N.4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	უმჯობესი იქნება სკოლამ ყოველწლიურად განახორციელოს კურსდამთავრებულთა კვლევა, რათა დაადგინოს, რამდენად დაეხმარა მათ სკოლა არჩევანის გაკეთებაში. შეიმუშაოს მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის გეგმა და მოიწვიოს სხვადასხვა დარგის სპეციალიტები მოსწავლეებთან სასაუბროდ.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურ** **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**რჩევა**

ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგე მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა განვითარების გზას **ფიზიკური აღზრდა**	• I-VI კლასების კურიკულუმებში მითითებული სასწავლო თემ "ტანვარჯიშის ელემენტების" ქვეცნებებსა და საკითხებში ჩამოთვლილ ზოგიერთი ისეთი აქტივობა, რომელთა განსახორციელებლადაც საჭირ სპეციალური ინვენტარი. სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია ტანვარჯიშუ ლეიბები. სასურველია სკოლმ უზრუნველყოს კათედრა შესაბამ ინვენტარით,კურკულუმის განსახორციელებლად • I-IV კლასების კურიკულუმებში მასწავლებლებს დაგეგმილი აქ ერთი და იგივე საკითხების გავლა თეორიულ ნაწილში (სხეულის ჰიგიენ ტანსაცმლის და ფეხსაცმლის ჰიგიენა; კვების რაციონი; ჯანსა პროდუქტები; არაჯანსაღი პროდუქტები). უმჯობესია, აღნიშნულ კლასებ გამრავალფეროვნდეს შესასწავლი საკითხები. • I-II კლასის კურიკულუმებში დაემატოს თემა "მოძრავი თამაშები
ინდიკატორი2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგე მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა განვითარების გზას **მათემატიკა**	I და II კლასების კურიკულუმებში ახალი გრიფირებუ სახელმძღვანელოების მიხედვით გაიწეროს სტანდარტ გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემა. სკოლის მი წარმოდგენილი ნიმუშის მიხედვით.
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგე მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა განვითარების გზას **ბუნებისმეტყველება**	მოდიფიცირდეს I,II,V და VI კლასის საგნობრივი კურიკულუმებ შესაბამისი კომპლექსური დავალებების იდეებითა და კონტექ მაგალითებით.
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); **სახელმწიფო ენა**	კომპლექსური დავალების იდეის შესაბამისი სამიზნე ცნებებით, ქვეცნებებითა და ქვესაკითხებით შეივსოს III კლასის კურიკულუმი. ხოლო I და II კლასის კურიკულუმების თანმდევი დანართი - განმავითარებელი შეფასების რუბრიკები - შეივსოს სრულად.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	**რჩევა**
ინდიკატორი 2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასე მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკ ორიენტირებს **ფიზიკური აღზრდა**	მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გამრავალფეროვნდეს განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები და მოერგოს კომპლექსურ დავალებებს.
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასე მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკ ორიენტირებს **მათემატიკა**	სასურველია კათედრამ შექმნას ყველა თემაზე განმსაზრვრელი შეფასების რუბრიკები ე.ს.გ. წარმოდგენილი ნიმუშების მსგავსად
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	**რჩევა**
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასე მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკ ორიენტირებს; **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**	ბიოლოგიასა და ფიზიკაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სრულყოფილად შეიცვალოს შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი 2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასე მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკ ორიენტირებს**საზოგადოებრივი მეცნიერებები**	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინებით XII კლასისთვის შეიმუშავოს შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი 2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასე მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკ ორიენტირებს **ფიზიკური აღზრდა და სპორ**	საგანში „ფიზიკური აღზრდა“ გამრავალფეროვნდეს განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები და მოერგოს კომპლექსურ დავალებებს.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე, სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, თავდპირველად, დასკვნის პროექტის თანახმად, რიგ სტანდარტებთან მიმართებით, შეფასდა როგორც არ „შეესაბამება“ (პირველი სტანდარტის -კომპონენტი 1.2; მესამე სტანდარტის - კომპონენტი 3.1; 3.5 ; მეორე სტანდარტის დაწებითი საფეხურის -კომპონენტი 2.1.და საშუალო საფეხურის კომპონენტი 2.1..), უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაო ვადების გათვალისწინებით. ექსპერთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია სტანდარტების მიმართებაში, რის შედეგადაც განხორციელდა მათი მეტწილ ან სრულ შესაბამისობაში გადატანა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, მისია და ხედვა შემუშავებულია სკოლის პრიორიტეტებზე დაყრდნობით

სსიპ - ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის მისიაა შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, სადაც ყველა მოსწავლეს ექნება სკოლაში სწავლის თანაბარი პირობები, და ერთნაირი მოლოდინი. თანამედროვე ტექნოლოგიების და სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით მიიღწევა თითოეული მოსწავლის განვითარება საკუთარი უნარების შესაბამისად. მოსწავლისათვის საჭირო ცოდნის მიწოდებით, გონებრივ - ფიზიკური მონაცმების განვითარების ხელშეწყობით აღვზრდით ისეთი მოქალაქეების რომლებიც იქნებიან ტოლერანტი, დამოუკიდებელნი, გადაწყვეტილების მიმღები, შემოქმედი, დასაქმებული და კანონმორჩლი მოქალაქეები, რომლებიც ყოველთვის დაიცავენ ქვეყნის და ოჯახის ინტერესებს.

სკოლის ხედვაა თანამშრომლობაზე და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული უსაფრთხო სკოლა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა მაღალ მიღწევებზე და კონკურენტუნარიანი, დამოუკიდებელი, რეალიზებული წარმატებული მოქალაქეების აღზრდაზე.

სკოლის მთავარი ღირებულება თანამშრომლობით კულტურაზე დამყარებული ინკლუზიური გარემოა. განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, ემპათია, გუნდურობა, თანასწორობა, ურთიერთპატივისცემა , პასუხისმგებლობა

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2 მისიიდან გამომდინარე, სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, ვინაიდან მისიაში სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეებს განვითარების გზაში, შეუქმნას ყველა მოსწავლეს სკოლაში სწავლის თანაბარი პირობები, ჩამოაყალიბოს მოაზროვნე, მაძიებელ და პასუხისმგებელ პიროვნებად, დაეხმაროს საკუთარი მიღწევების გამოყენებაში. ასევე, მისიით სკოლა მიზნად ისახავს ახალგაზრდებისათვის

ყველა პირობის შექმნას, რათა მომზადებულნი შეხვდნენ ცხოვრების მოთხოვნებს, როგორც პროფესიის არჩევისას ასევე შრომით საქმიანობაში. ჩამოყალიბდნენ კანონმორჩილი მოქალაქეები, რომლებიც ყოველთვის დაიცავენ ქვეყნის და ოჯახის ინტერესებს.აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ არსებობაში.

ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

3 სკოლის დირექტორის 2023 წლის 24.05-ის ბრძანება N2-162 შეიქმნა ჯგუფი საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია ხედვა ღირებულებების) შემუშავების მიზნით..სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების ამსახველი დოკუმენტაცია, სხდომის ოქმები, მოსწავლეთა მოსაზრებების მოკვლევა და მშობელთა უკუკავშირი ელექტრონულ ფოსტაზე.

ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ შემუშავებული მისია, ხედავა , ღირებულებები საჯაროდ არის გამოკრული სკოლის ფოიეში.განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე და სრულად არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებულ პირთათვის.**ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია**.

5.როგორც მე-4 ინდიკატორში აღინიშნა ვებ გვერდზე განთავსებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულება იძლევა მისის საჯაროობის საშუალებას.**ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია**.

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლა,**რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ". დოკუმენტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს **ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023 წ 24.05 ბრძანება MES 8 23 000002-162;

- დაწესებულების ვებ გვერდი;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ამსახველი დოკუმენტაციები, ოქმები, კითხვარები;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სასკოლო საზოგადოების ინტერესების და პრიორიტეტების გათვალისწინების მექანიზმები.სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით, სკოლამ შეიმუშავა მეთოდოლოგია, რომლის მთავარ ორიენტირად განისაზღვრა მაქსიმალური ჩართულობა.სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს:1.ინფორმაცის შეგროვება და ანალიზი;2.მისიის, ხედვის და მიზნების

შემუშავება/გადახედვა/დახვეწა;3.სტრტეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება;4.სამოქმედო გეგმის შემუშავება;5.შესრულების მონიტორინგი. სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს სკოლის განვითარების უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომელიც დეკლარილებული მიზნების მისაღწევად ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტურ მუშაობას და მთელი სასკოლო საზოგადოების სკოლის საქმიანობაში აქტიური ჩართულობის წახალისებას. ამავე დროს სკოლის თანამშრომლები სტრატეგიული განვითარების გეგმას განიხილავენ, როგორც შესაძლებლობას, ყველა დაინტერესებულ მხარეს გაუზიარონ თავიანთი ხედვა და ამით ხელი შეუწყონ სკოლის საქმიანობის შეფასებასა და სრულყოფას.**ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2 სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.დაწესებულებამ წარმოადგინა 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 19.09-ის ბრძანებით MES923000002-334. სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიზნებია: 1. - სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის განვითარება;

2-სკოლის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება;

3- ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დამყარებული ურთიერთობების განვითარება უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად.

4 - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა;

5 - IX – XII კლასებში გაძლიერდეს სწავლება შემდეგი ძირითადი საგნების მიმართულებით: მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ინგლისური ენა;

6- სკოლის ბიბლიოთეკის განვითარება:

7 - მშობლების დაინტერესება სკოლის საქმიანობაში მათი აქტიურად ჩართვის მიზნით;

სკოლის ხელმძღვანელობას, თანამშრომლებს, მშობლებს, დაინტერესებულ საზოგადოებას კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ სტრატეგიული გეგმა ცოცხალი დოკუმენტია, რომელიც გარკვეული პერიოდულობით (საჭიროებისამებრ)ყოველთვის დაექვემდებარება გადახედვას და მასში ცვლილებები შევა შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით.**ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც შესაბამისობამაშია სკოლის სტრატეგიულ გეგმასთან.ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშვებისა და მონიტორინგის მექანიზმი მკაფიოდ აქვს სკოლას გაწერილი სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, თავი III მუხლი 11 და მუხლი 12 **ინდიკატორი 1.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. თუმცა სკოლის სამოქმედო გეგმაში არ არის გაწერილი შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.შესაბამისად ექსპერტთა გჯუფმა მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა შესაბამისობაში

ინდიკატორი 1.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა; .
- მოსწავლეთა თვითმართველობის სხდომის ოქმი;
- დირექტორის 2023 11.05 MES 723000002-143 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- დაწესებულების ვებ გვერდი.https://skolebi.emis.ge/schools/2490

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.კერძოდ:პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები გაწერილია სტატეგიული დაგეგმრების მეთოდოლოგიის მუხლი7-ში.სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება

ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია.**ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მიერ დასახული მიზნების მონიტორინგს ახორციელებს ორგანიზაციის დირექცია. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს კომპეტენციის შესაბამისად. შესაბამისი პასუხისმგებელი პირები შეისწავლიან საკითხს, აკვირდებიან შესრულების ინდიკატორებს და ახდენენ მათ სისტემატურ გადამოწმებას.ინდიკატორებზე დაკვირვება მთლიანად სკოლის, მისი რომელიმე ერთეულის თუ კონკრეტული თანამშრომლის მუშაობის ეფექტურობის შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტია. შესრულების ინდიკატორების დროული და სწორი რეალიზება გარანტიაა, იმის რომ დასახული გეგმა წარმატებით სრულდება. მუხლი 7-ით განსაზღვრული შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.სკოლის მიერ შემუშავებული SWOT ანალიზით განისაზღვრება სკოლის ოთხი ძირითადი მიმართულება:

1.1. ძლიერი მხარეები;

1.2. სუსტი მხარეები;

1.3. შესაძლებლობები;

1.4. საფრთხეები;

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია ადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა.SWOT ანალიზის საფუძველზე ხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ინდიკატორი 1.2.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.პირველადი ავტორიზაციის გამო ინდიკატორი ვერ შეფასდება.

4.პირველადი ავტორიზაციის გამო ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა; .
- დირექტორის 2023 11.05 MES 723000002-143 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- დაწესებულების ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/2490

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის დირექტორის 21/08/2023 ბრძანება MES 3 23 000002-293-ით დამტკიცებულია ზოგიერთი თანამშრომლის შრომითი ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოვალეობების გარდა გათვალისწინებული სამუშაოთა აღწერილობა.დაწესებულებაში დასაქმებულია დირექტორი,დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი,საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კორდინატორი,ექიმი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი,დამლაგებელი , საინფორმაციო მენეჯერი,სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, სსსმ მოსწავლის ასისტენტი. დანართში გაწერილია თითოეული დასაქმებულის ფუნქცია მოვალეობები.სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო,მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. წარმოდგენილია მათი საქმიანობის დებულებები. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია დებულებებსა და შრომით ხელშეკრულებებში. ხელშეკრულებებში გაწერილია, როგორც ზოგადი ხასიათის უფლება-მოვალეობები, ასევე კონკრეტული პირის ფუნქციებიც. ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია შრომის შინაგანაწესი, რომლის გაცნობა ხელმოწერით დასტურდება ხელშეკრულებაშივე.

ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია..

2.სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების გადანაწილება ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევას, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. მათი საქმიანობა ურთიერთანამშრომლობას ეფუძნება, რაც საშუალებას აძლევს სკოლის დირექტორს სწორად მოახდინოს ფუნქციათა დელეგირება და გაუწიოს მონიტორინგი დაკისრებული სამუშაოს შესრულებას.სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დებულებასა და ხელშეკრულებაში გაწერილი ფუნქციები არ არის ფორმალური ხასიათის. თითოეულ მათგანს გაცნობიერებული აქვს საკუთარი ვალდებულებები როგორც სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის კუთხით, ისე ოპერაციული პროცესების (სკოლის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, ფინანსური საქმიანობა, საქმისწარმოება და სხვა) განხორციელების მიმართულებით. **ინდიკატორი 3.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;
- შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა პერსონალის მართვის პროცესებს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკით. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია: პერსონალი და მისი მოზიდვის მექანიზმები,პერსონალის შერჩევა, სამუშაო აღწერილობები, ორგანიზაციაში ადაპტაციის მექანიზმი,პერსონალის შეფასება,პერსონალის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობა, პროფესიული განვითარება,წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა, თანამშრომელთა შორის კომუნიკაცია და არაფორმალური ურთიერთობები. რეგულაციები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და ასევე, განსაზღვრავს დაწესებულების მისიის შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესის გამხორციელებისათვის საჭირო პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, ინტეგრაციისა და განვითარების პრინციპებს.

ინდიკატორი 3.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; სკოლის მიერ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია ასევე ახალი კადრის ადაპტაციისა და ინტეგრაცის მექანიზმები სამუშაო გარემოში. სკოლა ზრუნავს როგორც არსებული კადრების შენარჩუნებასა და განვითარებაზე, ასევე, საჭიროებისამებრ, ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე. სკოლისთვის პრიორიტეტულია არსებული კადრების შენარჩუნება მუდმივად ზრუნავს მათ განვითარებაზე. მართვის პოლიტიკა ასევე არეგულირებს პერსონალის შეფასების და საჭიროებების დადგენის, მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობისა და პროფესიული განვითარების ასპექტებს.პერსონალის ინტერვენციული მართვისთვის სკოლას აქვს შემუშავებული საჭიროებისამებრ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს მისი ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესები. **ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3.პერსონალის შერჩევა ხდება გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპის დაცვით. მასწავლებელთა დასაქმება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების შესაბმისად. ონლაინ სივრცეში ცხადდება ვაკანსია და კანონმდებლობის შესაბამისად საჭირო კვალიფიკაციის მქონე კადრის აყვანა ხდება. დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები მოწესრიგებულია. თითოეულ საქაღალდეში წარმოდგენილია ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის ცნობები ნასამართლეობის, სქესობრივი დანაშაულის არ ქონისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ. **;რამდენიმე 2020 წლის შემდგომ დაწესებულებაში დასაქმებულ პირებს არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობები უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი დანაშაულის შესახებ. სკოლის დირექციის განცხადებით, აღნიშნულ პირებს დაევალებოდათ ცნობების წარდგენა უმოკლეს დროში.**

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სკოლაში დასაქმებული შვიდივე თანამშრომლის ცნობა,რომელთაც ვიზიტის დროს არ ჰქონდათ შესაბამისი დოკუმენტაცია.შესაბამისად ექსპერტთა გჯუფმა მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა შესაბამისობაში

ინდიკატორი 3.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;სკოლაში დასაქმებულია 55 პედაგოგი, მათ შორის ორი საგნობრივი ექსპერტი, 1 მენტორი,32 წამყვანი, 22 უფროსი პედაგოგოს სტატუსის მქონე.რაც დასტურდება ამონაწერით განათლების მართვის საინფორმაციო ბაზიდან.პედაგოგები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას ყავს 1 სპეცპედაგოგი, 1 ფსიქოლოგი,1 სსსმ პირის ასისტენტი.დასაქმებულია თანამშრომელი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე , საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი,ბუღალტერი,დარაჯი, 7 დამლაგებელი,4 საშტატო ერთეულით დამტკიცებული, 3 სოციალური სამსახურის ქვეპროგრამით დასაქმებული,1 მეეზოვე. სკოლის ყველა თანამშრომლის კომპეტენცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. თითოეულ მათგანთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.**ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია**

5.სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გეგმავენ სამომავლო ნაბიჯებს, ერთობლივ პროექტებს, კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროცედურებს. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს,

საგნობრივ კათედრებს, მრჩეველთა საბჭოს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა,რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები. შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ

ჩართული თვითშეფასების პროცესში. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს **ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია**

6 სკოლაში ვიზიტის დროს კათედრებთან გასაუბრებით გამოიკვეთა პედაგოგების აქტიური თანამშრომლობა, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება მოსწავლეზე მორგებული დავალებების დაგეგმვისა და განხორციელების კუთხით. პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტებსა და სკოლის შინაგანწესში გაწერილია თანამშრომლების წახალისებისა და მოტივაციის წესი. სკოლის დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით წაახალისებს თანამშომელთა მიერ პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის.

ინდიკატორი 3.1.2.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;
- შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- eSchool-ის ბაზიდან ჩამოტვირთული თანამშრომლების სია.
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის დირექტორის 2023 წლის 29.08-ს ბრძანება MES 6 23 000002-304 დამტკიცებულია პერსონალის მართვის პოლიტიკა, ასევე შემუშავებულია და დამტკიცებულია ბრძანება MES 4 23 000002-294ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა შეესაბამება მოსწავლეების, მშობლების, სკოლაში დასაქმებულების, სასკოლო საზოგადოების საჭიროებებსა და ინტერესებს.სკოლის ხარისხის ერთიანი სისტემის მიზანია ემსახუროს საზოგადოების განვითარებას და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ამ პროცესში საქმიანობის სფეროს და სპეციფიკის გათვალისწინებით.ხარისხის უზრუნველყოფის ზოგად მიზნებს წარმოადგენს ინსტიტუციური განვითარება, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საზოგადოების ინტერესებისა და დაინტერესებული მხარეების
მისწრაფებების ხელშეწყობა.მოიცავს სკოლის ყველა ერთეულის შეფასების წესს და პერიოდულობას. შეფასებისთვის კი მითითებულია დაკვირვების ობიექტი/ობიექტები. ამავე წესით განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის მექანიზმები, რომელთა შორისაა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება სხვადასხვა გზით და გამოვლენილი პროფესიული საჭიროებების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა. სკოლის პროფესიული განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ საკვანძო პრინციპებს: პროფესიული განვითარება, როგორიც ყოველდღიური, მიმდინარე პროცესი; შეფასება, როგორც კონსტრუქციული უკუკავშირი განვითარებისთვის; სასკოლო საზოგადოების ურთიერთნდობა, როგორც განვითარების უპირობო საფუძველი. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ხარისხის მართვის სამსახურის მუშაობა მმართველობითი და ძირითადი პროცესების შეფასების მიზნით. ხარისხი მართვის სამსახური შეფასებას ახორციელებს პროცესის დოკუმენტზე დაყრდნობით და გასცემს რეკომენდაციებს, პროცესის განხორციელების პრაქტიკის გაუმჯობესების ან/და პროცესის მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. შემოწმების საფუძველზე სამსახური ადგენს დასკვნის პროექტს რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ა) შემოწმების საგანი და ფარგლები; ბ) შემოწმების განხორციელების პერიოდი; გ) ინფორმაცია შემოწმების განხორციელების პროცესის შესახებ; დ) შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები; ე) შეუსაბამობებისა და ხარვეზების გამოსწორების რეკომენდაციები და ვადები; ვ) საჭიროების შემთხვევაში სხვა ინფორმაცია და მტკიცებულებები. დასკვნის პროექტი ეგზავნება დაკვირვების ობიექტს და ემსახურება ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 3.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის თანახმად პერსონალის საჭიროების გამოვლენაზე პასუხისმგებელია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შემოწმებისათვის შეირჩევა სამსახურის მიერ წინასწარ შედგენილი შესამოწმებელი ობიექტი, შეფასება განხორციელდება კითხვარის საფუძველზე, რომელსაც ავსებენ პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები. ხარისხის მართვის სამსახური დირექტორთან შეთანხმებული ერთი ან რამდენიმე რისკ-ფაქტორის გათვალისწინებით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში

ახორციელებს შესამოწმებელი პროცესების/კურიკულუმების იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც ადგენს პროცესების/პროგრამების შემოწმების წლიურ სამოქმედო გეგმას, რომელიც მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შემოწმების საფუძველზე სამსახური ადგენს დასკვნის პროექტს, რომელიც მოიცავს შემოწმების ფარგლებში გამოვლენილ მიგნებებს, შეუსაბამობებისა და ხარვეზების გამოსწორების რეკომენდაციებსა და ვადებს. სკოლის პერსონალის/სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტის თანახმად, მონიტორინგის საფუძველზე ანალიზის გაკეთების და გაუმჯობესების მექანიზმების დაგეგმვის ვალდებულება ეკისრება სკოლის დირექტორის მოადგილეს.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის სამსახური, რომელიც აფასებს რა თითოეულ მასწავლებელს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს.სკოლის მართვის პოლიტიკის მუხლი 5 რეგულირდება პერსონალის შეფასება და მუხლი 7-ით პროფესიული განვითარება.სკოლაში დანერგილია კრიტიკული მეგობრის კულტურა, საჭიროებისამებრ მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე და გასცემენ განმავითარებელ ზეპირ უკუკავშირს. სკოლის 2023-2030 სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული აქვს მასწავლებლის პროფესიული ზრდის ხელშემწყობი ამოცანები, ხოლო ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მისი შესაბამისი აქტივობები. სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი ჩართულია 2022-23 ფულბრაიტის მასწავლებელთა დახელოვნების (Fulbright TEA)პროგრამაში, პედაგოგი სწავლის თანამედროვე მეთოდებს ეუფლება ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში ეუფლება.პროგრამას აფინანსებს აშშ-ს დეპარტამენტი. (ECA) . და ადმინისტრირებას უწევს IREX. Fulbright TEA პროგრამის მიზნებია მასწავლებლებს შორის ურთიერთ თანამშრომლობის ხელშეწყობა,საუკეთესო საგანმანათლებლო პრაქტიკის გაზიარება;სკოლებს შორის დამეგობრება;მიღებული გამოცდილების სკოლაში დანერგვა და კოლეგებთან გაზიარება.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლას, პერსონალის მართვის პოლიტიკის მუხლი 4-ით რეგულირდება სასკოლო საზოგადოებაში ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის პროცედურები. სკოლა ახორციელებს ახალი თანამშრომლის წარდგენას, მისი საკომუნიკაციო ჯგუფებში დამატებას, სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების, სკოლის რიტუალების და კულტურის გაცნობას, მისი პროფესიული საჭიროებების შეფასებას და მხარდაჭერას. **ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

5.პერსონალის წახალისების სახეები და გამოყენების წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით (მუხლი.10). სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-8 მუხლში გაწერილია თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების პროცედურები. სკოლის დანაკლისიანი ბიუჯეტიდან გამომდინარე, წარმოდგენილ სკოლის ბიუჯეტის პროექტში ამ ეტაპზე არ არის გათვალისწინებული თანამშრომელთა ფულადი პრემია. **ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 29.08-ს ბრძანება MES 6 23 000002-304;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 21.08-ს ბრძანება MES 4 23 000002-294;
- სკოლის შინაგანაწესი;
- Nana-Gelashvili-Fulbright-TEA-Notification.pdf

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტის დოკუმენტი, რომლის თანახმად, სკოლაში პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება სკოლის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შეფასების პროცედურის მიზანია მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც პირდაპირპროპორციულია სკოლის მისიასა და მიზანთან, და საშუალებას იძლევა მიღწეული იქნას საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები.სკოლის სასწავლო პროცესის შეფასების ფაზა ციკლურია, მოიცავს PDCA ციკლს, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განორციელებას, შემოწმებას, განვითარებას.

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია

2.საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში, სკოლის შინაგანაწესში, საქმისწარმოების წესში, სკოლის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. პროცესების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში.აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად სკოლის მმართველობითი პროცესებია:კვალიფიციური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი;უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების თანაფარდობა აბიტურიენტებთან;მოსწავლეების შენარჩუნების მაჩვენებელი; მოსწავლეების სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი; მოსწავლეების დასწრების მაჩვენებელი;

უფროსი, წამყვანი და მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლების პროცენტული მაჩვენებელი; ბიუჯეტის პროცენტული ზრდის მაჩვენებელი; შესყიდვების გეგმის ზრდის მაჩვენებელი; მოსწავლეთა, მშობელთა, პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი.

ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლის დირექტორის 2023 წლის 07.09. ბრძანება..MES 8 23 000002-315 დამტკიცებულია, ქ. ხაშურის N3 საჯარო სკოლის მოსწავლის,მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და მასწავლებლის/სხვა დასაქმებულის ძირითადიუფლებები და თავისუფლებების აღმწერი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება: სკოლის როლი;სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები; საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება;სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება;გასაჩივრების უფლება;.სკოლის ნეიტრალურობა და ანტიდისკრიმინაციულობა;.გამოხატვის თავისუფლება;შეკრების თავისუფლება;გაერთიანების თავისუფლება;პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა;რწმენის თავისუფლება;ძალადობის დაუშვებლობა და უსაფთხოება. **ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სსიპ ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და მასწავლებლის/სხვა დასაქმებულის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების

აღმწერი დოკუმენტით რეგულირდება პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა. ხოლო, სკოლის შინაგანაწესში გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა, დისციპლინური სახდელები და მათი დაკისრების წესები..**ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 07.09. ბრძანება..MES 8 23 000002-31;
- სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და მასწავლებლის/სხვა დასაქმებულის ძირითადი უფლებები და თავისუფლებების აღმწერი დოკუმენტი;.
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს ვებ გვერდი და გვერდი სოციალური ქსელში, სადაც პერიოდულად განათავსებს სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას და იღებს უკუკავშირს. თითოეული კლასის დამრიგებელს შექმნილი აქვს ფეისბუქ ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანებული არიან მოსწავლეთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები. ამ ჯგუფების დახმარებით, ასევე ხდება მშობლების ინფორმირება, გამოკითხვა და სხვა საჭირო აქტივობების განხორციელება. სკოლის ადმინისტრაცია აწყობს მიზნობრივ შეხვედრებს მშობლებთან სკოლაში მიმდინარე სიახლეების გაცნობის მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს ,,მშობელთა სათათბირო'' რგოლი. შეხვედრებზე ხდება მშობლების ინიციატივებისა და წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და ერთობლივად გადაჭრის გზების დასახვა. სკოლის მოსწავლეთა მშობლები მონაწილეობენ სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებში. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და

განვითარების სტრატეგიებს. აღნიშნული წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს. თანამშრომლებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, გამოიყენება , სკოლის eflow, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა და სკოლის ღია სივრცეში საინფორმაციო დაფა. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლის საქმისწარმოების წესის თანახმად, პირადი საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სკოლის დირექციას წერილობითი განცხადებით, რაზეც დირექციის მხრიდან იღებენ მყისიერ უკუკავშირს. აქედან გამომდინარე, სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. **ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია**

2. მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობა სკოლის მართვის ორგანოებში უზრუნველყოფილია მათი წარმომადგენლებით სამეურვეო საბჭოში, რომელიც არის უმაღლესი არჩევითი ორგანო და რომელთანაც ხდება სკოლისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების წარდგენა დასამტკიცებლად და/ან შესათანხმებლად. მოსწავლეთა არჩევითი ორგანოს, სკოლის სტრუქტურული ერთეულის, მოსწავლეთა თვითმმართველობის საშუალებით უზრუნველყოფილია მოსწავლის ჩართვა სკოლის მართვაში. ასევე სკოლის მიერ შემუშავებული, სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის და მათი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვის პოლიტიკის მიხედვით, სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირი აცნობიერებს, რომ:გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლეთა ჩართვა ნიშნავს მათთვის ხმის უფლების მიცემას იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც მათ სკოლაში ხდება. თეორიულად, მოსწავლეს აქვს ხმის უფლება მისი სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტში.

მასწავლებელთა გაერთიანება – პედაგოგიური საბჭო მონაწილეობს სასკოლო ცხოვრების მთელ რიგ გადაწყვეტილებების მიღებაში, კათედრები – კათედრის დონზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არიან ჩართული, დისციპლინური კომიტეტი კი განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. **ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;
- შინაგანაწესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;

- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;

.შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორია შემოღობილია. სკოლას აქვს ერთი ძირითადი შესასვლელი და რამდენიმე სათადარიგო გასასვლელი. დამხმარე შენობებში განთავსებულ საკლასო ოთახებში და სააქტო დარბაზში მისასვლელად, მოსწავლეებს უხდებათ სკოლის გარე სივრცეში გადაადგილება.სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეო სათვალთვალო კამერით. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად.სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმა (შემდგომში - გეგმა) შემუშავებულია

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის **№508 დადგენილებით** დამტკიცებული ,,სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის" მე-5 მუხლის შესაბამისად და წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის საქმიანობის საფუძველს. იგი, ამავდროულად, არის ,,სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის" განხორციელების მხარდაჭერის სამოქმედო დოკუმენტი და უზრუნველყოფს, შესაძლო საგანგებო სიტუაციაზე, პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას. დირეტქორის 2023 წლის 01.09-ის ბრძანება MES 2-310 დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების შტაბის შემადგენლობა.სკოლის საგანგებო მართვის გეგმა 2023 წლის 05.09-ის წერილი MIA 32302568606-ით, შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

სკოლის პრაქტიკაა მასწავლებელთა მორიგეობა სართულების მიხედვით. სკოლის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი. შენობის საევაკუაციო გზებზე/გასასვლელებში და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილებში გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ერთიანი სატელეფონო ნომერი ,,112; სკოლას ჰყავს ექთანი და შესაბამისად აღჭურვილი ექიმის კაბინეტი. ექთნის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N041/ნ/01-23/ნ-ით (2022 წლის 21 მარტი) განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლის შენობას ესაჭიროება სრული რეაბილიტაცია.სკოლას აქვს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ექსპლუტაციისა და ტექნიკური მდგრადობის შესახებ, რომლითაც დასტურდება , რომ შენობის მდგომარეობა ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია და ექსპლუატაციისთვის ვარგისია. თუმცა დასკვნას თან ერთვის გამოკვლევის შედეგი, რომელშიც აღწერილია სკოლაში შექმნილი არსებული სიტუაცია, რომელიც საჭიროებს მყისიერ რეაგირებას,სკოლის დირექტორის მიერ განხორციელებულია არაერთი მიწერილიობა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან. პასუხად, სკოლაში შექმნილი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქურული პრობლემების აღმოსაფხვრელად გადაუდებელი სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე, მიღებულია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქურის განვთარების სააგენტოს წერილი /N760652 05/07/2022/ სკოლის ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების თაობაზე.ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული პრიორიტეტების საფუძველზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული ახალი პროექტის - 800 საჯარო სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციის - ფარგლებში, სსიპ -საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ,
განხილული იქნება სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის №3 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის საკითხი.

რჩევა: სკოლამ კვლავ მიმართოს შესაბამის ორგანოებს სკოლაში შექმნილი არსებული სიტუაციის მოგვარების მიზნით.

ინდიკატორი 3.4.1.1. დაკამყოფილებულია

2.სკოლას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები", ბრძანების საფუძველზე შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას. ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. კლასის დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილია დამრიგებლის ვალდებულება, დაეხმაროს მოსწავლეს სასკოლო გარემოში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილია საკუთარ გაკვეთილზე, კლასში, წესრიგის და დისციპლინის დაცვის ვალდებულება და მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა; სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. ბრძანებით დამტკიცებულია მორიგე მასწავლებელთა განრიგი. ასევე, ბრძანებით განსაზღვრულია სკოლაში შემომომსვლელ პირთა აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას ჰყავს მანდატური, რომლის მოვალეობაა საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან ერთად უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე წესრიგისა და დისციპლინის დაცვა; აღკვეთოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და მის მიმდინარე ტერიტორიაზე მომხდარი და გამოვლენილი სამართალდარღვევები, ასევე მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს; გამოავლინოს დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის კონფლიქტური სიტუაცია, შეასრულოს მედიატორის როლი და მოაგვაროს კონფლიქტი და სხვა.**ინდიკატორი 3.4.1.2. დაკამყოფილებულია**.

3.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის მიხედვით იკვეთება,რომ სკოლის შინაგანაწესში იკითხება ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მახასითებლები; აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ შემუშავებული სადამრიგებლო პროგრამები ასაკის გათვალისწინებით სრულად გათვლილია მოსწავლის ემოციებისა და გრძნობების განვითარებაზე, რაც ხელს უწყობს მათ ფსიქო- ემოციურ უსაფრთხოებას.სკოლაში დასაქმებულია ფსიქოლოგი, რომელიც ამოწმებს ბავშვების მენტალურ ჯანმრთელობას, სწავლას, ქცევას და ეხმარება მათ, ჰქონდეთ წარმატებები აკადემიურ, სოციალურ და ემოციურ სფეროებში. სკოლის ფსიქოლოგი თანამშრომლობს ოჯახებთან, მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან რათა შექმნას ძლიერი კავშირი სკოლასა და მშობელს შორის.**ინდიკატორი 3.4.1.3. დაკამყოფილებულია**.

4.სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლას შემუშვებული აქვს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, რომლითაც რეგულირდება:მუხლი1.სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფისა და დასუფთავების განხორციელება და მონიტორინგი;მუხლი2. სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფისა და დასუფთავების პერიოდულობა;მუხლი 3. შენობის სივრცის დალაგებისა და დასუფთავების პროცედურები;სკოლას მიეწოდება სუფთა წყალი. სველ წერტილებში დაცულია პირადი ჰიგიენის დაცვისთვის შესაფერისი პირობები. პირადი ჰიგიენის საშუალებები განთავსებულია იზოლირებულ საცავებში, რომელიც ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციით. ჰიგიენური პირობების დაცვა მიმდინარეობს, როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე. სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური ნორმები.სკოლის სანიტარულ ჰიგიენური კვანძები

აღჭურვილია სათანადო საშუალებებით: ქაღალდის ხელსახოცები, თხევადი საპონი, ტუალეტის ქაღალდი, სადეზინფექციო ხსნარი, აეროზოლები და სხვა.სკოლას ემსახურება 7 დამლაგებელი,1 მეეზოვე.აღსანიშნავია ისიც ,რომ სკოლას საშტატო ერთეულით განსაზღვრული ჰყავს 4 დამლაგებლის მომსახურება,თუმცა სახელმწიფო სოციალურად დაუცველთა პროგრამის დასაქმების პროგრამის ფარგლებში 2022 წლიდან დასაქმებულია 3 დამლაგებელი და 1 მეეზოვე.სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტის თანახმად, სკოლის ექთანი ვალდებულია განახორციელოს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე ზედამხედველობა. სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაცია დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელიც რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების დებულების დოკუმენტით; მუხლი 20 ინფორმაციის და პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი;რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დაცვის, პერსონალური მონაცემთა დამუშავების და დაცვის პრინციპებს, გამოყენების მიზნებს და სხვა. აღნიშნულ დოკუმენტს თან ახლავს თანხმობის ფორმა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. ასევე მუხლი23 ითვალისწინებს სკოლის საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი ზოგიერთი დოკუმენტის შენახვის ვადებს.მოსწავლეთა პირადი საქმეები განთავსებულია სპეციალურად გამოყოფილ, დაცულ სივრცეში და მათზე წვდომა აქვთ საქმეთა მმართველსა და დამრიგებლებს. მოსწავლის მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე ფოსტით გადაეგზავნება მიმღებ სკოლას. სკოლაში დაცულია სკოლის პერონალის პირადი საქმეები.

ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია

6.სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმი რეგულირდება სკოლის მიერ შექმნილი საქმისწარმოების დებულებით; მუხლი 22მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი; ადმინისტრაციული წარმოების მიღებული, დამუშავებული, შენახული დოკუმენტების დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი;სკოლა იცავს და ამუშავებს ამავე დებულებით განსაზღვრული 22.2. პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტაციას ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტაციაზე პასუხისმგებელია სკოლის ბუღალტერი. საწიროების შმთხვევაში უფლებამოსილი პირის განცხადების საფუძველზე დოკუმენტების გაცემა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დოკუმენტების დაცვაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულები განსაზღვრულია 22.5 პუნქტის ა,ბ,გ, და,დ ქვეპუნქტებით. **ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია**

7.სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგი სისტემატურად ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის მიერ. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ჩაატაროს სისტემატური შეხვედრები (დასწრებით/ონლაინ) სკოლაში დასაქმებულებთან/მოსწავლეებთან და გააცნოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესები. ასევე, გააფრთხილოს იმ

ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გატარდება პერსონალური მონაცემების კანონის დარღვევით დამუშავებასთან/გამოყენებასთან/გამჟღავნებასთან დაკავშირებით. დოკუმენტი შემუშავებული და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.დოკუმენტში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების დებულება;
- საჯარო სკოლისპერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- დირექტორის 2023 წლის 14.09 ბრძანება N324;
- საჯარო სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი;
- დამტკიცებული საშტატო ერთეული;
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქურის განვთარების სააგენტოს წერილი /N760652 05/07/2022/;
- სკოლის საგანგებო მართვის გეგმა 2023 წლის, შეთანხმებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.
- დირეტქორის 2023 წლის 01.09-ის ბრძანება MES 2-310 საგანგებო სიტუაციების შტაბის შექმნაზე;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავ ტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; კერძოდ, დაწესებულება მდებარეობს ქალაქ ხაშურში მისამართზე: რუსთაველის ქუჩა N50, მიწის საკადასტრო კოდი-69.08.63.144. მიწის ფართობი6652კვ.მ. სკოლის შენობების საერთო ფართობი-2239.23კვ.მ. სკოლის ძირითადი შენობა სამსართულიანია და ექსპლუატაციაში შესულია 1973 წელს. სასწავლო პროცესი ასევე მიმდინარეობს დამხმარე ერთსართულიან შენობებში, რომელიც ძირითადი შენობიდან დამოუკიდებლად დგას. (ერთსართულიანი მიშენება -1984 წელი, ერთსართულიანი შენობა-1921წელი). სკოლის შენობები უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით, ელექტროენერგიით, სასმელი და ტექნიკური წყლით. -სკოლის ეზოს ფართობი-4412.77კვ.მ. სკოლის ტერიტორიაზე სკოლის ძირითადი შენობის გარდა მდებარეობს საქვაბე-სახელოსნო,სპორტის დარბაზი და სველი წერტილი. ეზო შემოფარგლულია ლითონის ბადით. სკოლის ეზოდან არის ერთი გასასვლელი. .სკოლის ძირითად და დამხმარე შენობებში განთავსებულია 24 საკლასო ოთახი,მათ შორის ერთი მომავლის კლასი, კომპიუტერების ლაბორატორია. დირექტორის კაბინეტი, კანცელარია,

სამასწავლებლო.სკოლის ბიბლიოთეკა მდებარეობს ნახევარ სარდაფში, რესურსოთახი, სამედიცინო კაბინეტი განთავსებულია ძირითადი შენობიდან ცალკე მდგომ სააქტო დარბაზის შენობასთან. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის რესურსები (კოლბები, მულაჟები,თვალსაჩინოებები,ქიმიური რეაქტივები და სხვა საჭირო ნივთები,მათ შორის სტემ კლუბში შექმნილი რესურსებითა და ნამუშევრები)განთავსებულია დამხმარე ოთახში, რომელსაც არ აქვს ფანჯარა განიავებისთვის. სააქტო დარბაზი (121კვ.მ) აღჭურვილია ტექნიკური ინვენტარით, განთავსებულია სკამები. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით და პროექტორით. სკოლას აქვს 80 კომპუტერი, 51 დესქტოპ კომპიტერი, 29 პორტატული კომპიუტერი (ნოუთბუქი), ბუქები მასწავლებელთა გამოყენებისთვის, 7 პროექტორი,4 პრინტერი, დინამიკები, მიკროფონი,ფოტოაპარატი და სხვა ტექნიკური მოწყობილობები.

სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები; სკოლაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი. დაწესებულების ბალანსზეა 705 მოსწავლის მერხისა და სკამის კომპლექტი, რომლებიც სხვადსახვა კატეგორიისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ საჭიროებებს. აქედან გამომდინარე, თვითშეფასების კითხვარში მოთხოვნილი კონტიგენტის - 1000 მოსწავლე - დაკმაყოფილება თავისუფლად იქნება შესაძლებელი ორცვლიანი სწავლების პირობებში. სკოლის მხოლოდ პირველ სართულზეა განთავსებული გოგონებისა და ვაჟების სველი წერტილები, რომელსაც სსიპ ლევან სამხარაულის 2022 წლის 28.07-ის ექსპერტის დასკვნა N005089522 შესაბამისად ესაჭიროება წყალ-კანალიზაციის სისტემის რევიზია და დაზიანებული უბნების სრული რეაბილიტაცია. პირველ სართულზეა განთავსებული ასევე ადაპტირებული სველი წერტილი. გამომდინარე აღწერილი გარემოებებიდან

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ სკოლა საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს არსებული პრობლემის მოგვარებას,შესაბამისად პრობლემის მოგვარების მიზნით დახმარებისთვის მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს.2023 წ.03.10-ის წერილი MES 7 23 0001293741-ის მიხედვით სკოლამ მიიღი ინფორმაცია,რომ შენობის რეაბილიტაცია გათვალისწინებულია გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) პროგრამის (საქართველოს საჯარო შენობებში ენერგოეფექტურობის პროგრამა) ფარგლებში, რომლის განმახორციელებელს წარმოადგენს სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.შესაბამისად, სკოლამ,შესასრულებელი სარემონტო სამუშაოების გეგმასთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით 2023 წ. 18.10-ს წერილობით MES1230001398325 მიმართა სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდს. სკოლამ წარმოადგინა ვადები არსებული გარემოებების გამოსწორების მხრივ, კერძოდ 2024 წლის 27 სექტემბერი,

თუმცა ითვალისწინებს შესაბამისი უწყების რეაგირების შეფერხების 20%

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და ინდიკატორი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

ინდიკატორი 3.5.1.1. მეტწილ შესაბამისობაშია

2. მიუხედავად 1 ინდიკატორით აღწერილი გარემოებებისა, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია ქმნის სათანადო პირობებს რათა ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით სარგებლობა ხელმისაწვდომი გახადოს სასკოლო საზოგადოებისთვის. მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში განთავსებული რესურსებით სარგებლობის წესები, ასევე სკოლის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა, რითაც უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესში მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკის, პროექტორებისა და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. სკოლის ფოიეში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, მათი მიღწევები სხვადასხვა სასკოლო, სარაიონო თუ საქალაქო პროექტებში. სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ჩართულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. ინტელექტუალური ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სააქტო დარბაზით. სკოლაში არსებული რესურსოთახი სრულადაა აღჭურვილი სათანადო ინვენტარითა და რესურსით. სსსმ მოსწავლეები სარგებლობენ რესურსოთახით, ყველა საჭირო ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებელია

3.სკოლაში ნაწილობრივ შექმნილია ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები. კერძოდ, სასკოლო გარემო ადაპტირებულია ყველა უნარისა და შესაძლებლობის მოსწავლისათვის, რაც გამოიხატება იმით, რომ უკლებლივ ყველა სივრცე ხელმისაწვდომია ყველა ტიპის მოსწავლისთვის, გარდა შშმ და სსსმ მოსწავლისა. სკოლის ძირითად კიბეს აქვს პანდუსი, ასევე პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული ტუალეტი, შშმ მოსწავლეს გადაადგილება შეუძლია მხოლოდ პირველ სართულზე განთავსებულ სივრცეებში. სკოლას მიეცა **რჩევა ,რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისას გათვალისწინოს მოძრავი პანდუსის დამონტაჟება, რაც შშმ პირს სკოლის მთელ ტერიტორიაზე გადაადგილების საშუალებას მისცემს.**

ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებელი

4.შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. სკოლის ეზო, შესასვლელი ფოიე, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული კლასი, სააქტო დარბაზი, რომელიც შეხვედრების ოთახის ფუნქციას ასრულებს, ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებელია

5.სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი საჭირო რესურსები, რაც ვლინდება იმაში, რომ სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის (ისტ-ის მიმართულებით), მოწყობილია მომავლის კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი, ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება: რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვა. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკაში არის, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, სპორტული ინვენტარის შესანახი ოთახი.პედაგოგები სკოლის ეზოში არსებულ სივრცეს იყენებენ სხვადასხვა სახის აქტივობების ჩასატარებლად. თუმცა სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, აქვს სხვადასხვა სახის რესურსები, მულაჟები და თვალსაჩინოებები, რომლებიც განთავსებულია ლაბორატორიისთვის შეუსაბამო სივრცეში. **რჩევა: სასურველია სკოლამ გამოყოს შესაბამისი სივრცე საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიისთვის**

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებელია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის ტექპასპორტი;
- ციფრული რესურსების მართვის გეგმა;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკის დებულება;
- 2022 წლის 06.07, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს MES760652 წერილი იმის თაობაზე, რომ სსიპ-ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლა გათვალისწინებული იქნება საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული ახალი პროექტის - 800 საჯარო სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციის ფარგლებში;
- დაწესებულების ინვენტარიზაციის ფორმა;
- საქმისწარმოების წესი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; კერძოდ, დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 2023-2025 წლების სკოლის ციფრული განვითარების გეგმა, რომლის ფარგლებშიც სკოლა აღიჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით და მომდევნო წლების განმავლობაში, გეგმავს ციფრული რესურსების შევსებას. სკოლაში ფუნქციონირებს 2012 წლიდა მომავლის კლასი. სკოლის ბალანსზე ამჟამად არის 80 კომპიუტერი,51დესქტოპ კომპიუტერი,29 ლეფტოპი, 4 პრინტერი, 7 პროექტორი, 1 სქულბოქსი,1 გამანაწილებელი;სკოლა მთლიანად არის დაფარული Wi-Fi-ით, ინტერნეტი მიეწოდება 91,58Mbps სიჩქარით.სწავლებლებისთის სამუშაო სივრცის მოწყობის მიზნით, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილია სკოლის სამაწავლებლო. მოსწავლეებისათვის განკუთვნილი საზიარო სამუშაო სივრცე მოწყობილია კომპიუტერულ კლასში და ბიბლიოთეკაში. მოსწავლეებისათვის განკუთვნილ სივრცეში ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი;სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები და საკლასო ოთახების სიმცირის გამო ტარდება საგაკვეთილო პროცესი. საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებლები იყენებენ კომპიუტერულ ტექნიკას, აქვთ ლეპტოპების საკლასო ოთახებში შეუზღუდავად გატანის შესაძლებლობა. ასევე სკოლის პროექტორებს აქტიურად იყენებენ ღონისძიებებისა და სხვადასხვა პროექტის განხორციელებისას.სკოლას აქვს განაცხადი სსიპ შოთა რუსთაველის საქართველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 25.04-ის ბრძანებან N64-ით გამოცხადებულ, სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში ,,მეცნიერება იწყება სკოლიდან- კვლევები

მოსწავლეთა მონაწილეობით". სკოლაში შემუშავებული ციფრული ტრანსფორმაციის პროგრამა ასევე აისახა სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში და კურიკულუმებში.სკოლას ჰყავს კვალიფიციური საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც საჭიროებისამებრ ეხმარება სკოლის თანამშრომლებს ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. ადმინისტრაციის თითოეულ წევრს გადაცემული აქვს პორტაბელური კომპიუტერი. შემუშავებულია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა; შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და სარგებლობის წესები უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. **ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია**

2.სკოლაში უზრუნველყოფილია ტექნიკის განაწილების და საზიარო სივრცეების მოწყობის განრიგი, ციფრულ ტექნოლოგიებთან თავისუფალი წვდომა აქვს ადმინისტრაციას, მასწავლებლებს და მოსწავლეებს. სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც ტარდება ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაკვეთილი, სკოლა უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც არა აქვთ ოჯახში ინტერნეტზე წვდომა.

.**ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატო

რების მტკიცებულებები.

- ციფრული რესურსების მართვის გეგმა;.
- განაცხადი სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში ,,მეცნიერება იწყება სკოლიდან- კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით";.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლა ახდენს დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დაცულია დოკუმენტის ფორმები და ტიპები, რეგისტრირდება გასული და 46 შემოსული დოკუმენტაცია, პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები იწარმოება დადგენილი წესის შესაბამისად, სკოლას აქვს საკადრო და საერთო ბრძანებების ჟურნალები, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები. გაფორმებული ხელშეკრულებები დანომრილია და აღრიცხულია შესაბამის ზონარგაყრილ, დამოწმებულ სარეგისტრაციო ჟურნალში.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებელია

2.სკოლა, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას (e-flow, ელექტრონული ფოსტა, ვებ გვერდი), იყენებს გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. სკოლა ასევე იყენებს, ელექტრონული ჟურნალს. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს ელექტრონული ფოსტა, გვერდი სოციალურ ქსელში და სხვადასხვა დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებელია

3.სკოლა სარგებლობს ზოგადი განათლების მართვის ერთიანი სისტემით (eschool), რომელშიც აქვს სრულყოფილი პროფილი, სკოლა დადგენილ დროში და კანონმდებლობის შესაბამისად ასახავს ინფორმაციას.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებელია

4.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. საქმისწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს დოკუმენტებზე რეაგირების ვადების დაცვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა სრულად, კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა და საჭირო ინფორმაციას.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებელია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლა საქმისწარმოების დებულება
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაცი სისტემაში.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს ვებგვერდის შესაბამისი გვერდი სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და ფეისბუქგვერდი, რომლებიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლის ვებ გვერდის შესაბამის გვერდზე განთავსებულია სკოლის განახლებული საკონტაქტო ინფორმაცია: ელ.ფოსტა და ტელეფონის ნომერი. ასევე, ინფორმაცია სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობის შესახებ, ხელმისაწვდომი პროგრამების შესახებ და სხვა. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია მუდმივად განახლებადი ინფორმაცია დაწესებულების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. აღნიშნული გვერდის საშუალებით, ასევე შესაძლებელია სკოლასთან კომუნიკაცია. **ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებელია**

2.სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის იყენებს ელ. ჟურნალს, ელ. პლატფორმა – TEAMS და სოციალური გვერდს. დირექციის განმარტებით, სასკოლო ელ. გამოკითხვები ამ სივრცეში მიმდინარეობს. მიმდინარე წელს გამოიკითხა მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. გამოკითხვის შედეგები გააანალიზეს და ამავე გზით გაუზიარეს სასკოლო საზოგადოებას. **ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებელია**

3. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგად პრინციპებს სხვადასხვა მიმართულებით: ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა; ინფორმაციის გავრცელების ინტერნეტ რესურსები:

ვებგვერდი, ელ-ფოსტა და სოციალური არხები; შიდა და გარე კომუნიკაცია; მოტივაციის ამაღლება და ინიციატივების ხელშეწყობა; უკუკავშირის შედეგები და ანალიზი. **ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია** .

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. **ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია**

5.სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც განთავსებულია სკოლების პორტალზე www.skolebi.emis.ge . პორტალზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: სკოლის ისტორია, მისია, ხედვა, მიზნები, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024, მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმი, საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა, პირველ კლასში მისაღები მოსწავლეთა რაოდენობა, ინფორმაცია სკოლის ინფრასტქუტურული და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, შესაბამისად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ არის განხორციელებული, შესაბამისად გასაჯაროებული.

სკოლის ვებ. გვერდზე არ არის ატვირთული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024.

სკოლას მიეცა რჩევა სკოლის მოქმედ ვებ გვერდზე ატვირთოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024

ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ გვერდი;https://skolebi.emis.ge/schools/2490

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლის შემოსავლის წყარო არის ვაუჩერული დაფინანსება, სსსმ მოსწავლეების პროგრამული დაფინანსება და ეკონომიური საქმიანობიდან შემოსული დაფინანსება, იჯარით გაცემული ფართიდან, (27,71კვ.მ) რომლის საიჯარო ღირებულება 2023 წლის 14.09 -ის ხელშეკრულების 2.1. -ით შედაგენს წლიურ 9360 ლარს.სკოლის შემოსავლის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია მასწავლებლების, ტექ.პერსონალის, შტატგარეშე თანამშრომლების ხელფასებისა და კომუნალური ხარჯების გასასტუმრებლად. სკოლას აქვს შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც პერიოდულად ხორციელდება კორექტირება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ასევე, სკოლას აქვს შემუშავებული და სამურვეო საბჭოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული 2022 - 2023 წლის ბიუჯეტი, რომლის კორექტირება განხორციელდა სამჯერ.შესაბამისად სკოლა 1 ოქტომბრის მდგომარეობით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, ასევე შეიმუშავებს 2023-2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტს.ყოველი წლის დასაწყისში სკოლა საგანმანათლებლო რესურსცენტრში წარადგენს ფინანსური შედეგების ანგარიშგებას (წლიური ბალანსი). ყოველი წლის ბოლოს დირექტორი გამოსცემს ბრძანებას სკოლაში ინვენტარიზაციის ჩასატარებლად. საინვეტარიზაციო კომისიის შემადგენლობის შესახებ. კომისია ახდენს მცირეფასიანი ინვენტარის აღწერას, რაც შემდგომ გადაეცემა ბუღალტერს, რომლის მიერაც ძირითად საშუალებებს ერიცხებათ ცვეთა. მიღებული შედეგები აისახება წლიურ ბალანსში.სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე წარდგენს ფინანსურ ანგარიშს **ინდიკატორი 3.7.1.1.დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის, ეფექტიანი სისტემა. ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება გასული წლის მონაცემების დამუშავებით, გათვალისწინებულია ასევე წინა წლის შესყიდვების გეგმის შესრულების ხარჯვითი ნაწილი, განსაზღვრულია ახალი საჭიროებები, გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტის ოდენობა, რაც რჩება ხელფასის, კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯების შემდეგ. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს წესი ,,სახელმწიფო შესყიდევების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის მთავარი მიზანია სახელმწიფო შესყიდვების ფაქტობრივად განხორციელებისა და ფულადი სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველყოფა, შესყიდვების პროცესების გამჭვირვალობა და სუბიექტური გადაწყვეტილებების აღმოფხვრა. გეგმის შექმნამდე სკოლა ითვალისწინებს კათედრების მიერ

მიწოდებულ ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებისა და პროექტების განსახორციელებელი საჭირო რესურსების შესყიდვების შესახებ, რაც მტკიცდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ასევე დირექტორის 2022 წლის 18 ნოემბრის N 2-399 ბრძანებით დანართი 1 და დანართი 2 შესაბამისად. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირი. საჭიროების შემთხვევაში ინდ.აქტით შეტანილია ცვლილებები შესყვიდვების გეგმაში. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს, სკოლას გათვალისწინებული აქვს პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები. ასევე სსიპ ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, **2005 წლის 20.04-ის კანონი ,,სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის'' მე-7 მუხლის თანახმად,** შესყიდვების გეგმის დამტკიცებამდე 48 შესყიდვის ობიექტის საორიენტაციო ღირებულების დადგენის მიზნით, 2 შესყიდვის ობიექტი უზრუნველყოფს ბაზრის კვლევას. 2023 წლის შესყიდვების გეგმის დამტკიცებამდე, ბაზრის კვლევა განხორციელებულია შემდეგი მეთოდებით: ა) www. procurement. gov.ge-ზე (spa.ge-ზე კვლევის განაცხადის განთავსება; ბ) ინტერნეტ სივრცეში პოტენციური მიმწოდებლის მოძიება; გ) სხვა ორგანიზაციების გამოცდილების გათვალისწინება (შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდის დათვალიერება/ანალიზი); დ) წინა წლების შესყიდვების გამოცდილების ანალიზი (ხელშეკრულებების შესწავლა); ე) სატელეფონო კვლევა; სკოლის დირექტორის 17.11.2022 წლის N1-416 ბრძანებით, დამტკიცებულია სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა.

ინდიკატორი3.7.1.2.დაკმაყოფილებულია..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს;
- სკოლის მოქმედი ბიუჯეტი;
- 2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- შედარების უწყისი (მცირეფასიანი) 01.01.2023წ;
- ცვეთის გაანგარიშების უწყისი 01.01.2023წ;
- სკოლის დირექტორის 17.11.2022 წლის N1-416 ბრძანებით, დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა;
- 2023 წლის 14.09. იჯარის ხელშეკრულებაN1

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; კერძოდ, სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლის კანონით უზრუნველყოფილი უფლებების დაცვას, როგორიცაა დისციპლინირებული გარემო, უსაფრთხო გარემო. სკოლა ახდენს მოსწავლეებისა და მშობლების პერსონალური მონაცემების სათანადო წესით დამუშავებასა და დაცვას. შინაგანაწესით დადგენილია მშობლებთან შეხვედრის დღეები და დრო, როდესაც მშობელს შეუძლია შეხვდეს კლასის დამრიგებელს და სკოლის დირექციის წევრებს, რათა გაეცნოს სასურველ ინფორმაციას. მშობელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც ასევე გაწერილია მხარეთა უფლებები და მოვალეობები. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის მოსწავლის ვერსია. მანდატურის სამსახური თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველეყოფს მოსწავლის უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვას. **ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; შინაგანაწესი გამოქვეყნებულია საინფორმაციო დაფასა და ახლადამუშავებულ ვებგვერდზე. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის მოსწავლის ვერსია, რომელსაც დამრიგებელი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში აცნობს თითოეულ მოსწავლეს. სკოლის დერეფნებში გამოკრულია "112-ის", მანდატურის, სახალხო დამცველისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. **ინდიკატორი 4.1.1.2.დაკმაყოფილებულია.**

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება, სადაც გაწერილია მხარეთა უფლებები და მოვალეობები. **ინდიკატორი 4.1.1.3.დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მშობელთან / კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. წარმოდგენილი წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვას, მოსწავლის პარალელურ კლასში გადაყვანას, მოსწავლის სტატუსის შეჩერებასა და აღდგენას, მობილობის, კლასისა და საფეხურის დაძლევის წესს, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარება და მოსწავლის ჩარიცხვის, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვის წესებსა და პროცედურებს. აღნიშნულ დოკუმენტს თან ერთვის მოქალაქის განცხადების ფორმის ნიმუში და დოკუმენტის შედგენის მარეგულირებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი. აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N004/ნ და 2010 წლის 1 ოქტომბრის N98 /ნ ბრძანებებთან. სკოლის საქმისმწარმოებელი აწარმოებსს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვას სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. **ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2.. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. სკოლის არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ ის იცავს წარმოდგენილი წესით განსაზღვრულ რეგულაციებს. მტკიცებულების სახით სკოლამ დამატებით წარმოადგინა ბრძანებები მოსწავლის ჩარიცხვისა და ამორიცხვის შესახებ.**ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია..**

3. ინფორმაცია სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლაში ფუნქციონირებს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით ლიტერატურული კლუბი,ხელოვნების კლუბი ,,როტონდა",სამოქალაქო განათლების კლუბი,ჭადრაკის წრე და გახანგრძლივებული სწავლების წრე.სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე, მკაფიო და კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ; დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ.სკოლის შესასვლელში განთავსებულია მონიტორი, რომელშიც ასახულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნომრები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები და პროგრამები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია..**

4.სკოლის ოფიციალურ ვებ.გვერდზე და სოცილაურ ქსელში განთავსებულია სასკოლო ცხოვრების შესახებ ინფორმაცია. სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის თანახმად, ვებ. გვერდზე და სოციალურ ქსელებში განსათავსებლად საჭირო ინფორმაცია ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს, სკოლის საინფორმაციო მენეჯერს, მიეწოდება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ; ასევე, დამრიგებლების საშუალებით მშობელს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი შვილისა და სკოლის სერვისების შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის საკითხები ინდივიდუალური შეხვედრების დროს გააცნონ. სკოლის დერეფანში საჯაროდ გამოკრული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე. **ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლიტერატურული კლუბის წესდება;
- დამატებითი ფაკულტატური მომსახურება:ჭადრაკის წრე,,ლაბიერი"-ის სამოქმედო გეგმა
- ხელოვნების კლუბი,,როტონდა"-გამოფენა - პერსფორმანსი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის დირექტრის 2023 წლის 18.08-ს ბრძანება N MES623000002-287-ით დამტკიცებულია სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის აღმწერი დოკუმენტი. დოკუმენტით რეგულირდება მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები;პირველკალსელთა

ადაპტაცია;სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია;მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია;მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პირველი დღე;წარმატებული ადაპტაციის ნიშნები;რეკომენდაციები მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისას;დეზაპტაციის ნიშნები;დეზაპტაციისპროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებები. **ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია**

2.სკოლაში არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლა ნამდვილად უწყობს ხელს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. წარმოდგენილი დოკუმენტი, „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი" სკოლის პრაქტიკასთან შესაბამისია. მოსწავლის სასკოლო პროცესში ადაპტაციისას სკოლას გათვალისწინებული აქვს ის ძირითადი ფაქტორები ,როგორიცაა: მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, სასწავლო დატვირთვის ინტენსივობა და საგანმანათლებლო პროგრამების სირთულე, ენობრივი ბარიერი ან კულტურული განსხვავებულობა. **ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია**

3.დამრიგებლის ფუნქცია მოვალეობების დოკუმენტით განსაზღვრულია დამრიგებლის ვალდებულებები, გააცნოს მოსწავლეს/მშობელს სასკოლო სასწავალო გეგმა, სადაც გაწერილია აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მექანიზმები. კერძოდ, სემესტრის მიმდინარეობისა და დასასრულს, კლასის დამრიგებლები ვალდებულნი არიან ინდივიდუალურად მიაწოდონ მშობლებს ინფორმაციას შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სემესტრული და საშემოდგომო გამოცდები. სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის შემაჯამებელი ოქმით დასტურდება სკოლის პრაქტიკა, ქულის ამაღლების მიზნით, სემესტრული გამოცდის ჩატარების შესახებ.სკოლაში დასაქმებული კვალიფიციური კადრი მუდამ ზრუნავს მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია** .

4.სასკოლო სასწავლო გეგმისა და სკოლის „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის" თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება წინასწარ აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს საჭირო და გასათვალისწინებელ ინფორმაციას კლასისა და საფეხურის დაძლევის შესახებ. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით, სკოლას განსაზღვრული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების გამოყენება დაგეგმვის ეტაპზე და მოცემული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი. სკოლას აქვს პრაქტიკა, მათ მიერ დაგეგმილი დიაგნოსტიკური წერების შედეგების საფუძველზე, მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენის შემთხვევაში, დაგეგმოს შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ; დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ. მოსწავლეები და მათ მშობლები/კანონიერ წარმომადგენლები ინფორმირებული არიან მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ, სადაც მომსახურება უფასოა და საჭიროების შემთხვევაში სკოლა დავეხმარება გადამისამართებაში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ადმინისტრაციულ/სამართლებრივი აქტით დგინდება ექსტერნატის ფორმით დაძლევის , გამოცდის ჩატარების

და ექსტერნად რეგისტრაციის ვადები. აღნიშნული ბრძანება გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის.წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე (ხელშეკრულება მშობელთან, მშობელთა კრების ოქმი, კლასის დამრიგებლის სამოქმედო გეგმა) დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწვლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. ასევე აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს. **ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია**

5.სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის და მათი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვის პოლიტიკა.სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირი აცნობიერებს, რომ:

.გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლეთა ჩართვა ნიშნავს მათთვის ხმის უფლების მიცემას იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც მათ სკოლაში ხდება. თეორიულად, მოსწავლეს აქვს ხმის უფლება მისი სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტში, მათ შორის:

• კურიკულუმი, მაგ. შესასწავლი საკითხების, არჩევითი საგნების შესახებ;

• სწავლა და სწავლება, მაგ., დისტანციური სწავლების, საკლასო ოთახის წესების შესახებ;

• სკოლის პოლიტიკა, მაგ., გენდერული თანასწორობის, დისციპლინური პროცედურების შესახებ;

• სკოლის ინფრასტრუქტურა და ფიზიკური გარემო, მაგ., გათბობის, ავეჯის შესახებ;

• რესურსები, მაგ., სახელმძღვანელოების შესყიდვის, კომპიუტერების გამოყენების შესახებ;

• კლასგარეშე აქტივობები, მაგ., კლუბების, საზოგადოებრივი პროექტების შესახებ;

• ყოველდღიური სასკოლო ცხოვრება, მაგ., სკოლის წესების, ფორმის ტანსაცმლის შესახებ. სათანადო მართვის შემთხვევაში, მოსწავლეების წახალისებას სკოლის ცხოვრებაში აქტიურად ჩასართავად ბევრი სარგებელი მოაქვს არა მხოლოდ მოსწავლეებისთვის, არამედ მასწავლებლებისთვის, სკოლებისა და მთლიანად საზოგადოებისთვის.

სკოლაში ფუნქციონირებს და მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას მოსწავლეთა თვითმმართველობა. ისინი თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით ქმნიან სკოლაში კლუბებს, რომელთა ორგანიზებით იმართება სხვადასხვა აქტივობები და იქმნება პროექტები. ტარდება ინტელექტუალური თამაშები სკოლის მასშტაბით ,,ტვინების ბრძოლა", ,,ბიგ-რაუნდი", ,,საჩინო". ასევე ხორციელდება სასკოლო თუ საერთაშორისო პროექტები. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები აქტიურად თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები: ლიტერატურული კლუბი,სამოქალაქო განათლების კლუბი,ჭადრაკის წრე.

ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია

6.სკოლაში დასაქმებული ფსიქოლოგი ზრუნავს მოსწავლეების კომუნიკაციური,სოციალური უნარების ამაღლებაზე.მათი ქცევითი საჭიროებების გამოვლენაზე. ინდივიდუალური კონსულტაციებით ცდილობს მიაწოდოს და ასწავლოს მათ პრობლემების აღიარება.(ბრაზის მართვა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება).სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ გათვალისწინებულია მშობელთა, მოსწავლეთა/ დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ჩატარება,სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა სათთათბირო რგოლი, რომლის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს საკუთარ მომსახურებას.

ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2022 წ. 09.12-ის ბრძანება N 1/კ-64 ზოგიერთი მოსწავლეთთათვის მაღლობის გამოცხადების შესახებ;
- დირექტორის 2023 წ.18.08-ს ბრძანება N MES623000002-287-ით დამტკიცებულია სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის აღმწერი დოკუმენტი;
- სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის და მათი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვის პოლიტიკა;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა, მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობს სსიპ კოლეჯ „იკაროსთან“. მემორანდუმის ფარგლებში მოსწავლეებს უტარდებათ პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსი.დამრიგებლის უფლება-მოვალეობი ითვალისწინებს მათ ვალდებულებას, უზრუნველყოს მოსწავლეთა ყოველმხრივ შესწავლა, მათი მიდრეკილებების, მოთხოვნილებებისა და ინტერესების გამოვლენა. კერძოდ, რა პროფესიებს ვირჩევთ, რატომ არის მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო არჩევანის გაკეთება.სკოლა სამომავლოდ გეგმავს მემორანდუმი გააფორმოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან **ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, სთავაზობს მრავალფეროვან პროექტებს, საკლუბო და საწრეო მუშაობას. სკოლისთვის მნიშვნელოვანია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავების პროცესში მშობელთა ჩართულობა, შესაბამისად სკოლა, კრებებისა და სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით, აწვდის მათ ინფორმაციას მოსწავლეთა კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლაში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. სკოლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ეყრდნობა სხვადასხვა კოლეჯებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სანდო ინფორმაციას.

ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3.გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლა სამომავლოდ გეგმავს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განახორციელოს სხვადსხვა სახის აქტივობები, ასევე გაითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა მხარი დაუჭიროს მოსწავლეების მიერ ინიცირებული პროექტებს, შექმნას მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისი კლუბები.

რჩევა: უმჯობესი იქნება სკოლამ ყოველწლიურად განახორციელოს კურსდამთავრებულთა კვლევა, რათა დაადგინოს, რამდენად დაეხმარა მათ სკოლა არჩევანის გაკეთებაში. შეიმუშაოს მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის გეგმა და მოიწვიოს სხვადასხვა დარგის სპეციალიტები მოსწავლეებთან სასაუბროდ.

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა;
- მშობლის თამნხმობა მოსწავლის მოკლევადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობაზე;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას 2023- 24 სასწავლო წლისთვის ყავს 7 სხვადასხვა დარღვევების მქონე სსსმ მოსწავლე. 4 დაწყებით, 3 საბაზო საფეხურზე.სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რომლის შემადგენელი ნაწილია მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია იქმნება ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. მასში გაწერილია შემდეგი აქტივობები: ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია, სსსმ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა, სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის რეგულაცია, სსსმ მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე რესურსების შეძენა, საგნის მასწავლებლების მხარდაჭერა სსსმ მოსწავლეებთან, მუშაობის მექანიზმებისა და მეთოდების გაცნობის კუთხით, მასწავლებლების კონსულტირება სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლის აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით. სპეციალური მასწავლებლების და ფსიქოლოგის კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ. ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლაში არსებული შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა სასკოლო საფეხურის საგნის მასწავლებლები და განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით. შიდა მონიტორინგის ჯგუფი აფასებს ისგ ჯგუფის საქმიანობას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას, სკოლის ინკლუზიური განათლების კულტურას, სსსმ მოსწავლეების მშობლებთან თანამშრომლობის ხარისხს, ადმინისტრაციის ჩართულობას. სკოლაში მოსწავლის სწავლის სირთულეების იდენტიფიცირება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის დირექტორი ქმნის ბრძანებას ისგ ჯგუფის შექმნის თაობაზე თითოეული სსსმ მოსწავლისათვის, განსაზღვრავს ისგ ჯგუფის შემადგენლობას. ისგ ჯგუფის სხდომები იმართება არანაკლებ წელიწადში 4 ჯერ, შეხვედრებს საგნის/სპეციალური მასწავლებლების გარდა ესწრება მშობელი, რომელსაც მიეწოდება ინფორმაცია შვილის მიღწევებისა და საჭიროებების შესახებ.. მულტიდისიპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე ხორციელდება სსსმ მოსწავლის გადაფასების პროცესი. სსსმ მოსწავლეებისათვის სპეციალური მასწავლებლის მხრიდან შემუშავებულია ინდივიდუალური განრიგი, რომელიც გამოკრულია რესურს–ოთახში. სემესტრის ბოლოს სპეციალური მასწავლებელი პედაგოგიურ საბჭოს წარუდგენენ ანგარიშს, რომელშიც მოცემულია ინფორმაციას განხორციელებული აქტივობებისა და საჭიროებების შესახებ.

ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია.

2.სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში გამოყოფილია რესურსოთახი, სადაც ყველა პირობაა შექმნილი რათა სსსმ მოსწავლეებმა მიიღონ შესაბამისი მხარდაჭერა. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ჯგუფი,სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის აღმწერი დოკუმენტაციის მუხლი 5 -ის შესაბამისად გეგმავს სსსმ მოსწავლეების სკოლაში ტრანზიციას. სკოლა ბავშვის ინტერესების, ქცევის თავისებურებების და პიროვნული მახასიათებლების შესახებ ინფორმაციას მოიპოვებს მოსწავლის ოჯახთან თანმიმდევრული კომუნიკაციით, რათა მოხდეს სასწავლო პროცესის დაგეგმვა და საკლასო სივრცის მოწყობა ამ ყოველივეს გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლისთვის იქმნება ინდივიდუალური დასწრების გრაფიკი. სკოლაში არსებული ყველა ისგ შექმნილია განახლებული ისგ დოკუმენტით, რომელშიც გაწერილია არა მარტო გრძელვადიანი/ მოკლევადიანი მიზნები საგანში არსებულ თითოეულ ცნებასთან მიმართებით, არამედ ადაპტირებული კომპლექსური

დავალებებიც, რომელიც მორგებულია მოსწავლის შესაძლებლობებს და ეყრდნობა იმ საკითხს/თემას, რომელზედაც მუშაობს სსსმ მოსწავლის კლასი, მოცემული კომპლექსური დავალების ფარგლებში. ისგ საგნობრივი ნაწილი შეიცავს ადაპტირებულ რესურსებსაც, რომლებიც მიეკუთვნება კლასში განსახილველ საკითხს და მორგებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებებსა და ინტერესებზე. სპეციალური მასწვალებელი და ფსიქოლოგი სასკოლო კლიმატის გაუმჯობესების ხელშესაწყობად ახორციელებენ.წელიწადში ორჯერ (სემესტრის ბოლოს) ხორციელდება სსსმ მოსწავლეების პროგრესის შეფასება იმ საგნებში, რომლებშიც შემუშავებულია ისგ და აღნიშნული დოკუმენტი საბოლო სახით წარედგინება პედ. საბჭოს, ისგ ჯგუფის შეხვედრის ფარგლებში ისგ ჯგუფის წევრებს, მათ შორის მშობელს. სსსმ მოსწავლეები ჩართულნი არიან ფორმალურ და არაფორმალურ სწავლებაში, კერძოდ ,,იცოდე შენი ქვეყანა", ქართულში კომპლექსური დავალების შესრულების დროს მომზადდა ვიდეო რეპორტაჟი, რომლის თემა იყო „კეთილი ბებერი ბუები-რეპორტაჟი" მონაწილეობა მიიღო სსსმ მოსწავლემ. სკოლის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებაა ინკლუზიური გარემოს ფორმირება, რაც გაწერილია სკოლის მისიაში, სკოლის სასწავლო გეგმაში.

ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის აღმწერი დოკუმენტი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა 2022-2023;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული წრის ჯგუფი, ჭადრაკის კლუბი ,, ლაზიერი'', ასევე ფუნქციონირებს კვების ბლოკი. თითოეულის საქმიანობა ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე.

ინდიკატორი 4.2.4.1.დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; წარმოდგენილი მომსახურება გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით, რაც თავის მხრივ პედაგოგიური საბჭოს მიერ არის განხილული და შეთანხმებული

ინდიკატორი 4.2.4.1.დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში განხორციელებული არაფორმალური განათლების სერვისების განმხორციელებელი პირები დადებული ხელშეკრულების ფარგლებში ადასტურებენ, რომ ითვალისწინებენ უსაფრთხოების ყველა იმ ნორმის დაცვა, რომელიც მოსწავლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და მისი ინტერესების საფუძველზეა შეთავაზებული.

.ინდიკატორი 4.2.4.1.დაკმაყოფილებულია..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2022 წლის 22.09-ის ბრძანებაN2-327 მოსწავლეებისათვის ესგ გაუთვალისწინებელი მომსახურების გაწევის შესახებ;.
- სკოლის 2023-2024 სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულნი არიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, ადმინისტრაცია, დირექცია და გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. მეთოდოლოგიაში აღწერილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპებზე განსახორციელებელი აქტივობები, ჩანს როგორ ხდება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება – წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ იკრიბებიან სასწავლო წლის დაწყებამდე, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობენ დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები.**ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ კურკულკუმის შემუშავებისას აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს, გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებენ მშობლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მშობელთა მეტი ჩართულობის და მათი ინტერესების უზრუნველსაყოფად სკოლაში არსებოს „მშობელთა სათათბირო“. სკოლა აღნიშნავს, რომ მაქსიმალურად მეტი მშობლის ჩასართავად მომავალში გამოიყენებენ კითხვარებს, ანკეტირებას, ინტერვიუირებას.**ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3 სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში, მათ შორის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ინტერვიუზე იკვეთება, რომ

კათედრაზე განიხილება თითოეული კლასის გასული სასწავლო წლის მიღწევები, განხორცილებული კომპლექსური დავალებები, გამოყენებული რესურსები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეაქვთ პედაგოგებს ცვლილებები კურიკულუმში. მასწავლებლები საგნობრივი ჯგუფის რესურსებისათვის იყენებენ OneDrive-ის ღრუბლოვან სივრცეს, ბლოგებს, შექმნილია Teams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის, სადაც მშობლებსა და მოსწავლეებს ეგზავნებათ კომპლექსური დავალების მშობლებისათვის განკუთვნილი ბარათი, დავალების პირობა და შეფასების რუბრიკა. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა აპირებს ზემოთხსენებული გაზიარების მექანიზმების დახვეწას, რისთვისაც მოსწავლეთა საჭიროებებისა და თავისებურებების გასათვალისწინებლად იგეგმება მშობელთა ანკეტირება. პედაგოგთა აზრით, მონაცემთა ანალიზი მისცემს მათ უფრო სიღრმისეულ ინფორმაციას და ორიენტირს, თუ როგორ შეიმუშაონ მომდევნო წლის საგნობრივი კურიკულუმები.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება) ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სასკოლო კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ წლის დასაწყისში მასწავლებლები მშობლებს უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს. მასწავლებლები სამუშაო შეხვედრაზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გამოწვევებს, განიხილავენ წარმატებული გაკვეთილის მახასიათებლებს, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილს და აკვირდებიან, თუ როგორ მუშაობს ერთი და იგივე მეთოდი სხვადასხვა კლასში.**ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ეფუძნება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის მოთხოვნებს, მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები, თემის ფარგლებში გამოკვეთილია სამიზნე ცნებები, საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომელიც ცოდნის ტრანსფერს უწყობს ხელს.დაწყებითი საფეხურის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საგნობრივი კურიკულუმების განხილვა იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობა და შინაგანი მოტივაციის გააქტიურებაა. საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებას და შემუშავებულია მათი ასაკის შესაბამისად. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ საგნის სწავლა-სწავლების ძირითადი მიზნები, სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხებისა და კომპლექსური დავალებების ურთიერთმიმართება, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებასაც მოსწავლეთა მხრიდან მთლიანპიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება.

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლას მიეცა რჩევები: რომლებიც შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:

- **საგანში „ფიზიკური აღზრდა“ I-VI კლასების კურიკულუმებში მითითებული სასწავლო თემის “ტანვარჯიშის ელემენტების” ქვეცნებებსა და საკითხებში ჩამოთვლილია ზოგიერთი ისეთი აქტივობა, რომელთა განსახორციელებლადაც საჭიროა სპეციალური ინვენტარი. სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია ტანვარჯიშული ლეიბები, შესაბამისად, ამოღებულ იქნას კურიკულუმებიდან ის ქვეცნებები და საკითხები, რომლის სწავლება შესაბამისი ინვენტარის გარეშე დაუშვებელია.**
- **ასევე, I-IV კლასების კურიკულუმებში მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ ერთი და იგივე საკითხების გავლა თეორიულ ნაწილში (სხეულის ჰიგიენა; ტანსაცმლის და ფეხსაცმლის ჰიგიენა; კვების რაციონი; ჯანსაღი პროდუქტები; არაჯანსაღი პროდუქტები). უმჯობესია, აღნიშნულ კლასებში გამრავალფეროვნდეს შესასწავლი საკითხები,**
- **საგანში „ბუნებისმეტყველება“ მოდიფიცირდეს და სრულყოფილ იქნას I,II,V და VI კლასის საგნობრივი კურიკულუმები.**
- **საგანში „მათემატიკა“ I და II კლასების კურიკულუმებში ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით გაიწეროს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემა.**

სკოლას არ ქონდა წარმოდგენილი „უცხოური ენის“ და I - II კლასის კურიკულუმების ჩარჩოები ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით

.სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა კლასის კურიკულუმების ჩარჩო ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით,გათვალისწინებულია ორი კომპლექსური დავალება. შესაბამისად ექსპერტის გადაწყვეტილებით მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანილია შესაბამისობაში

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაცაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების, გლობალურ-ფუნქციური უნარების, სამიზნე ცნებებისა და შედეგების გათვალისწინებით, კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულებით თუ ვიმსჯელებთ სკოლას გააზრებული აქვს საფეხურეობრივი და საგნობრივი მოთხოვნები, კურიკულუმის ჩარჩოში იკითხება სავალდებულო თემები, კონტექსტმაგალითები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და სასწავლო რესურსები. კურიკულუმი გაწერილია საგნობრივი სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის გათვალისწინებით. საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ცოდნის ტრანსფერს უწყობს ხელს. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლის შესრულებისასაც მოსწავლე, საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად, მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. შერჩეულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მოსწავლეებს ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების,

პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარებაში. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე.

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლას მიეცა რჩევები, რომლებიც შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:

საგანში „ქართული ენა და ლიტერატურა“ კომპლექსური დავალების იდეის შესაბამისი სამიზნე ცნებებით, ქვეცნებებითა და ქვესაკითხებით შეივსოს III კლასის კურიკულუმი. ხოლო I და II კლასის კურიკულუმების თანმდევი დანართი - განმავითარებელი შეფასების რუბრიკები- შეივსოს სრულად.

საგანში „ბუნებისმეტყველება“ I, II,V და VI კლასების კურიკულუმებში დარედაქტირდეს და მითითებულ კლასებში განისაზღვროს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები ორიენტირდეს გრძელვადიან მიზნებზე. აღნიშნული ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას და მოსწავლის პიროვნულ განვითარებას.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლაში დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდი. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვისას გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, მოსწავლისადმი ჰოლისტურ მიდგომას, მოსწავლეზე ორიენტირებულ სიღრმისეულ სწავლებას, ხოლო, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სკოლის ბაზაზე განხორციელებული სხვადასხვა პროექტი, საკლუბო მუშაობის ამსახველი მასალები, სწავლების პროცესში დიფერენცირებული მიდგომებისათვის განკუთვნილი ელექტრონული რესურსები, ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები, რომელიც ეხება მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმებისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შემუშავებას, ხოლო შემდეგ ეტაპზე მათ განხორციელებასა და მიღწეულ შედეგების შეფასებას. ამ მიმართულებით პედაგოგებს აქვთ გამოცდილება. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, კურიკულუმებში ჩანს, რომ ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და

სამიზნე ცნებებზე მუშაობისას მოსწავლეს აქვს არჩევანის საშუალება და დავალების ალტერნატიული ვარიანტი. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, ინკლუზიური განათლების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებს ინკლუზიური განათლების პროცესის შეფასებას. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ ყოველთვის საჭიროა იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას.

ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4.დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მოიცავს საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/ კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით სწავლის შედეგების აღწერას, განმავითარებელი შეფასება ეფუძნება საფეხურეობრივ შედეგებს. სკოლას ძირითადად წარმოდგენილი აქვს ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები, რომელიც შემუშავებულია კათედრაზე ურთიერთთანამშრომლობით, თუმცა პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას კონკრეტული შეფასების რუბრიკები თემებთან მიმართებით, რომელიც მიმართული იქნება გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და მათ ქვეცნებებისკენ. სკოლის მიერ წარმოდგენილ მიმდინარე სასწავლო წლის სასწავლო გეგმასა და თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, მოსწავლეთა წინარე ცოდნის დადგენისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით იგეგმება დიაგნოსტიკური წერების ჩატარება.

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლას მიეცა რჩევა, რომელიც შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:

საგანში „ფიზიკური აღზრდა“ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გამრავალფეროვნდეს განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები და მოერგოს კომპლექსურ დავალებებს.

ინდიკატორი 2.1.2.4.დაკმაყოფილებულია.

5.სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობისას ყურადღება ეთმობა წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, კერძოდ, კათედრის სამუშაო შეხვედრებზე მსჯელობენ

მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზის, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსიების შესახებ, იზიარებენ კოლეგების გამოცდილებას, ახორციელებენ საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგსა და შეფასებას, სემესტრის და სასწავლო წლის ბოლოს, კლასის დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები, კათედრის ხელმძღვანელები წარმოადგენენ ანგარიშებს, რომელიც განიხილება კათედრებზე და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ჯამდება პედაგოგიურ საბჭოზე. აღნიშნულიდან გამომდინარე შეაქვთ ცვლილებები მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში. მაგალითად: ასახავენ უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს გამოხატეს მზაობა სხვადასხვა წყაროს გამოყენებით გააგრძელონ წინარე გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და განახორციელონ ანალიზი.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კომპლექსური დავალებების ჩაშენებული ნიმუშები დაწყებით და საბაზო საფეხურზე ხელოვნებასა და მუსიკაში(კურიკულუმი);
- სხვადასხვა საგნებში სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- პროექტები, რეფლექსია , პროექტის ანგარიშები;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების წესი;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკურ აღზრდაში;
- მათემატიკის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათები და შეფასების რუბრიკები დაწყებით საფეხურზე;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისას ჩანს, რომ სასკოლო კულტურა აქტიური სწავლა-სწავლებისა და მრავალფეროვანი პროექტების საშუალებით უზრუნველყოფს დაწყებით საფეხურზე საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას. იგრძნობა სკოლის საზოგადოების წევრებს შორის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემო. მოსწავლეს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეულ კონტექსტებთან მიმართებით. საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებლები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ ისეთი აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობას, სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებასა და ინტერესებს; ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის პროდუქტის (პოსტერი, დიორამა, პრეზენტაცია და სხვა) შექმნის შესაძლებლობას აძლევს, რაც მოსწავლეებში შემოქმედებით უნარის განვითარებას უწყობს ხელს. მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში, დაწყებით საფეხურზე, ფუნქციონირებს არაერთი კლუბი. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ საკლუბო მუშაობის ანგარიშებსა და წინარე გამოცდილებაზე (განხორციელებული კომპლექსური დავალებები, პროექტები,

სხვადასხვა ინტერაქტიული აქტივობები) დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურზე საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისას ცოდნის კონსტრუირების გზაზე სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება. მასწავლებლები სასწავლო პროცესს წარმართავენ კონსტრუქტივიზმის ხუთივე პრინციპის დაცვით. საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. პედაგოგები ცდილობენ ყველა თემა მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტს დაუკავშირონ, რაც, მათივე განმარტებით, მოსწავლეებს მისცემს წინარე ცოდნის გააქტიურებისა და ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას, წინარე ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება კი მათ დაეხმარება თავად იყვნენ ყოველი ახლის აღმომჩენი და სწავლის უმთავრეს პროცესებზე პასუხისმგებელნი.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა , რომ დაწყებით საფეხურზე, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, რათა მოსწავლეებმა შეძლონ დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი და სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. წარმოდგენილი კურიკულუმები , მასში გაწერილი კომპლექსური დავალებები, წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გააანალიზოს საკუთარი სწავლის პროცესი და გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგია სტანდარტის შედეგების და ინდიკატორების მისაღწევად. დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელება მოიაზრებს სხვადასხვა მეტაკოგნიტური სტრატეგიის გამოყენებას, საბოლოო პროდუქტის შექმნა კი მოსწავლისაგან მოითხოვს საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვას, რეფლექსიას, ინფორმაციის გადამუშავების და ცოდნად გარდაქმნის უნარების გამოყენებას. მასწავლებლების მხრიდან მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. მოსწავლე აკეთებს შესრულებული დავალებების ანალიზს - რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ პედაგოგები ამისთვის იყენებენ სხვადასხვა სქემას, რომელიც მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ და უადვილებთ მათ მეტაკოგნიტურ პროცესებს. მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე აქცენტი ასახულია სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, საკლუბო

მუშაობაში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში. სკოლას აქვს ხედვა როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის მრავალფეროვანი სტარტეგიების დაუფლება.

ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ ამ მიმართულებით მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იქნა თემატური ერთეულები, კომპლექსური დავალებები, შესრულებული და შეფასებული ნამუშევრები მათი ანალიზით. აღნიშნული დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, მასწავლებლები გეგმავენ პროექტებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს, სადაც მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის და სირთულის დავალებებს, ეს პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნის მარტივად და საფუძვლიანად ათვისებას და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მომდევნო სასწავლო წლისთვის იგეგმება პრობლემაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებაც. დაწყებით საფეხურზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებშიც. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩანს, რომ მოსწავლეები არ სწავლობენ საკითხებს განყენებულად, არამედ აქცენტი გადატანილია ცოდნის პროცედურულ და პირობისეულ ტრანსფორმაციაზე. მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. მათ შეძენილი ცოდნა უნდა აქციონ , კომიქსად, იგავად, პოსტერად და ა.შ. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პროცესში კურიკულუმების როლი. დაწყებითი საფეხურის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია ისე, რომ კომპლექსური დავალებებით სწავლება შუალედურ მიზნებად არის მოაზრებული, შესაბამისად, საგნობრივი კურიკულუმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში, როგორც საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, ასევე ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ვინაიდან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე, ეს ყოველივე კი თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ზემოთ აღნიშნული ოპერაციები აწარმოოს. პედაგოგებმა გასაუბრებისას გამოთქვეს მზაობა, რომ გააგრძელებენ ისეთი კომპლექსური დავალებების შერჩევას, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, მომავალი სასწავლო წლისთვის აღნიშნული მიზნის მისაღწევად იგეგმება ინტეგრირებული პროექტების განხორციელებაც, შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

სკოლაში დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პროცესს.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები დაწყებით საფეხურზე ჩაშენებული საგნობრივ კურიკულუმში ხელოვნებასა და მუსიკაში
- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სამუშაო გეგმა /დებულება
- საგნობრივი კურიკულუმები
- სტრატეგიული გეგმები
- კურიკულუმის შექმნის და განვითარების მეთოდოლოგია
- მოსწავლეთა ნამუშევრები, კომპლექსური დავალებები თემატური ერთეულები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით გათავისებას. საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რომლისკენაც მიემართება სავალდებულო თემების ფარგლებში დაგეგმილი საკითხების სწავლების პროცესი. საგნობრივ კურიკულუმებში სამიზნე ცნებებს აზუსტებს ქვეცნებები, რომელთა საშუალებითაც ასევე დაზუსტებულია შესაბამისი საკითხები და ქვესაკითხები. პედაგოგებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სკოლაში დაგეგმილია მრავალფეროვანი არაფორმალური აქტივობებიც, რომლებიც ასევე ხელს უწყობენ მოსწავლეებში მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას.

ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან პედაგოგები სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას". სწავლა-სწავლების პრეცესში საგნობრივი საკითხები უკავშირდება ნაცნობ კონტექსტს, რაც მოსწავლეს პოზიტიურ დამოკიდებულებას უყალიბებს სწავლის მიმართ. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების დროს მოსწავლეები დიდი ინტერესით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში, მათთვის ყველაზე სახალისო პროდუქტის შექმნაა, ასევე ხალისით ერთვებიან კომპლექსური დავალების განხორციელების დროს საინტერესო აქტივობებში, მსჯელობენ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აცნობიერებენ სხვათა პოზიციას და შესწავლილი საკითხიდან გამომდინარე გამოხატავენ ემპათიას სხვების მიმართ, თანაკლასელებთან ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უმკლავდებიან სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, პერსონალურ თუ სოციალურ ქცევებს შორის აკეთებენ ეთიკურ და კონსტრუქციულ არჩევანს. მომავალი სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების მიზნით იგეგმება სასწავლო პროექტებისა და არაფორმალური აქტივობების განხორციელებაც, შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა ხელი შეუწყოს მოსწავლეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების - შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა- განვითარებაში.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3.სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან დაკავშირებით, საიდანაც ჩანს, რომ სკოლა იაზრებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როლს სწავლა – სწავლების პროცესში, ასევე – თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მნიშვნელობას მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად. მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასების მექანიზმად და მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად, სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს. შეფასება ცოდნის აგებასა და გამოყენებაზეა ფოკუსირებული, რაც გულისხმობს შეფასების ორიენტირებას მოსწავლის შესაძლებლობების, უნარებისა და პოტენციალის განვითარების დინამიკაზე; შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს და გამომდინარეობს მათგან. ასეთი შეფასება ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. არსებული შეფასება წარმოადგენს მოსწავლის პროფილის დიფერენცირებულ ანალიზს, რომელიც ავლენს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს და აძლევს მას კონსტრუქციულ უკუკავშირს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და როგორ შეიძლება იმუშაონ არსებულ გამოწვევებზე; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (სასკოლო სასწავლო გეგმა, კათედრის ოქმები, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია) საფუძველზე, მასწავლებლებთან გასაუბრების და მათი მზაობის გათვალისწინებით, საფეხურზე დასტურდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ინდიკატორი 2..2.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ სასკოლო საზოგადოებას და, პირველ რიგში, მოსწავლეს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად I,II, III, IV, V (პირველ სემესტრში) კლასებში მოსწავლეებს აფასებენ განმავითრებელი შეფასებით, ხოლო V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. მასწავლებლები წინასწარ ქმნიან და აცნობენ შეფასების რუბრიკებს, როგორც მშობლებსა და მოსწავლეებს, ისე ადმინისტრაციის წევრებს. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი, ე.ი. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორიენტირებით. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენდეს მათი სწავლის პროცესის რეფლექსიას. მასწავლებლების მიერ შემუშავებული რუბრიკებს განიხილავენ და ათანხმებენ კათედრის სხდომაზე, ხოლო პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს მათ. სკოლას აქვს შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გამოცდილებაც. ასევე, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს სასწავლო პროცესში გამოყენებული თვითშეფასება და

ურთიერთშეფასება. აღნიშნული მიზნების მისაღწევად სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის აღმწერი დოკუმენტიც. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.

ინდიკატორი 2..2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი. ამ დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც, გულისხმობს შეფასების ვერიფიკაციის პროცედურებს, შესაფასებელი დავალებებისა და მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების რუბრიკის შესაბამისობის დადგენას როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მეთოდიკურ ორიენტირებთან და საგნობრივ სტანდარტთან, ასევე, დავალების მიზანთან, შინაარსთან და ფორმასთან. ამ დოკუმენტში ნათლად იკითხება, თუ როგორი უნდა იყოს მტკიცებულებების ვერიფიკაცია, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს პროცესი. სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის აღმწერი დოკუმენტის მე-4 მუხლში ვკითხულობთ, რომ „ვერიფიკაციის პროცესში სკოლა ითვალისწინებს: ა) შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებას; ბ) შეფასების მიზნის განსაზღვრას; გ) შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას. დოკუმენტის მე-11 მუხლში იკითხება აზრი, რომ ვერიფიკაციის შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის და კურიკულუმის გასავითარებლად.

ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, საქმისწარმოების წესის შესაბამისად, სკოლაში ინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადით (3 წლით). კათედრებზე შენახულია მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვა ხდება ელექტრონულ ჟურნალშიც. სკოლას აქვს მოსწავლის პირადი საქმეებიც, სადაც შეტანილია მოსწავლეთა წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნის გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება საქმეთამმართველთან.

ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის აღმწერი დოკუმენტი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სადიაგნოსტიკო ტესტები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმები.
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- საკლუბო მუშაობა;
- სადამრიგებლო პროგრამა.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება მზადაა, შექმნას სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რომლის განაცხადი გაკეთებულია სკოლის მისის, ხედვისა და ღირებულებების ამსახველ დოკუმენტში და რომელსაც უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეულ პუნქტში გაწერილი საკითხები. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, ასევე, წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ანალიზი, ისგ ჯგუფის ოქმი N3 – სსსმ მოსწავლის კომპლექსური დავალების განხორციელებით მიღწეული შედეგების განხილვის შესახებ, საგნობრივი კათედრების მუშაობის ანგარიშები და სხვ. აღასტურებს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად

ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, პროექტებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. რიგ შემთხვევებში კომპლექსური დავალებების პირობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს საბოლოო პროდუქტი წარმოადგინონ მათთვის მისაღები საპრეზენტაციო ფორმით, რაც ასევე უზრუნველყოფს მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებები, მასწავლებელი უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბარ ჩართულობას, რაც თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს შექმნას უწყობს ხელს. მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან მოსწავლის წარმატებაზე, პროგრესსა და მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო საათებს, მოსწავლეებს აძლევენ სხვადასხვა ტიპის პროექტებსა და სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების საშუალებას. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ პროექტებში ჩართულობა საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. განსაკუთრებით აღნიშნეს, ამ მხრივ, საკლუბო მუშაობა, რომელიც ძალზე ნაყოფიერი და წარმატებული აღმოჩნდა მოსწავლეთა ჩართულობისა და ინტერესების დაკმაყოფილების თვალსაზრისით. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, ახალ სასწავლო წელსსასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში მოსწავლეთა და მშობელთა მეტი ჩართულობისთვის განახორციელონ სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, რათა მეტად გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, მათი ჩართულობით შეარჩიონ სასწავლო პროექტების, სასკოლო კლუბის საქმიანობის თემატიკა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და დადებითად აისახება მათ სასწავლო შედეგებზე.

ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.

3. პედაგოგებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისას იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული ურთიერთთანამშრომლობის დადებითი ასპექტები. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას , ხდება გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება, კათედრის წევრებს შორის უკუკავშირი. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ხორციელდება არაფორმალური აქტივობები, სასწავლო პროექტებში ერთიანდებიან სხვადასხვა კლასის მოსწავლეები, სხვადასხვა საგნის მასწავლებელი, მშობელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი და მათი ურთიერთთანამშრომლობით მიიღწევა დადებითი შედეგი. ამ მხრივ, აღსანიშნავია საკლუბო მუშაობის წვლილი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული სხვადასხვა ტიპის დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული

მასალები/აქტივობები, ელექტრონული რესურსები. სოციალურ ქსელში, სკოლის გვერდზე სისტემატურად აისახება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა ანგარიშები, სადამრიგებლო პროგრამები. კომუნიკაცია მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს, სკოლის დირექციასა და ადმინისტრაციასთან უწყვეტი და დინამიკურია.

ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში არის სოციალურად, ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემო. ჩანს, რომ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები ერთად მუშაობენ პოზიტიური გარემოს შექმნისათვის, ამას ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბები, პროექტები და არაფორმალური აქტივობები, რომელიც მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება. სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულნი არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა პირისპირ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა სათათბირო, რომელიც მონაწილეობს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების მოკვლევასა და განხილვაში. სასკოლო საზოგადოება ჩართულია ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციულ ღონისძიებებში. პანდემიის პერიოდში სკოლა განსაკუთრებით თანამშრომლობდა მშობლებთან, ადგენდა მათთვის ელექტრონულ კითხვარს და ამ ფორმით იკვლევდა საჭიროებებსა და ინტერესებს. დამრიგებლები თავიანთ ანგარიშებში წარმოაჩენენ მშობელთა ჩართულობის ფორმებსა და აქტივობებს. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობელთა სათათბირო;
- მშობელთა გამოკითხვა;
- ბროშურა მშობელთათვის.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ჩარჩო/გეგმა, რომელშიც სკოლა აღნიშნავს, რომ კურიკულუმი შედგენილია სკოლის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებაში ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრები (მასწავლებელი, საგნობრივი კათედრები, დირექცია, მშობელი). ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლას აქვს წარმოდგენილი მკაფიო ხედვა, სადაც მონიტორინგს და შეფასებას განიხილავს სასწავლო პროცესის თანმდევ მექანიზმად. სკოლას დეტალურად აქვს გაწერილი შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტები, წარმოდგენილია სასწავლო პროცესის შეფასების ინდიკატორები და მონაცემების შეგროვების გზები.

ინდიკატორი 2..3.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (გაკვეთილზე დასწრების რეფლექსიები, საგნობრივი კათედრების ოქმები, დასწრების აღრიცხვის ჟურნალი, კლასის ხელმძღვანელის ანგარიში- სამუშაო გეგმები,) ნათლად ჩანს, რომ სკოლაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და წახალისებაზე. აღნიშნულს ადასტურებს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების მიზნით გამოცემული ბრძანება. 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია კათედრების სამოქმედო გეგმა, სადაც გამოკვეთილია მონიტორინგსა და შეფასებაზე ორიენტირებული აქტივობები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მასწავლებელთა თვითრეფლექსიის შედეგები, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი.

ინდიკატორი 2..3.1.2 დაკმაყოფილებულია

3. 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას თვითშეფასების საფუძველზე წარმოდგენილი აქვს გასავითარებელი მიმართულებები. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში იგეგმება კვლევითი კითხვარის შექმნა, რომელიც დააზუსტებს არა მხოლოდ მოსწავლეთა ინტერესებს, არამედ

მასწავლებელთა მიგნებებსა და საჭიროებებს. გამოყენებული იქნება ელექტრონული კითხვარი, რომლის ანალიზის შედეგები აისახება სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. ასევე პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე იგეგმება სწავლა-სწავლების პროცესში არსებული გამოწვევების განხილვა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლას განსაზღვრული აქვს მკაფიო ხედვა გამოკვეთილი პრობლემების შესაბამისად თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ისე მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარების კუთხით. თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში აისახება მონიტორინგისა და შეფასების ვალიდური რუბრიკები შეფასების ინსტრუმენტებით.

ინდიკატორი 2..3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გაკვეთილზე დასწრების რეფლექსიები;
- კლასის ხელმძღვანელის ანგარიში;
- დასწრების აღრიცხვის ჟურნალი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- კურიკულუმი შემუშავების მეთოდოლოგიათვითშეფასეკათედრის ოქმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმებიდან და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხდება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით, რაც ჩანს სადამრიგებლო პროგრამებში, პედაგოგიურ/ საბჭოს/კათედრის /მშობელთა ოქმებში, რომლებშიც ასახული და განხილულია მოსწავლეთა მიღწევები და გამოკვეთილი პრობლემები/ დაგეგმილი ინტერვენციები. ამასთანავე კურიკულუმის განვითარების

მეთოდოლოგიის დოკუმენტში იკვეთება სკოლის ხედვა და სამომავლო მზაობა მოსწავლეთა სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შეფასების შესახებ. აღნიშნულ მსჯელობას ადასტურებს მასწავლებლებთან/სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებაც. მოცემული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტითა და შეფასების რუბრიკებით დასტურდება, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტსა და ფაქტორზე დაყრდნობით, ვინაიდან ყველა მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია. ეს საშუალებას იძლევა მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასებისას გამოვლინდეს მისი სხვადასხვა უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაშიც ჩანს, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასება მოახდინოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მაგალითად, მოსწავლის მიღწევების/საჭიროებების, მისი სოციალურ და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობის მონიტორინგით, რასაც ადასტურებს დაწყებითი საფეხურის კათედრის/მშობელთა სხდომის ოქმები. სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და შემდგომში დაგეგმოს შესაბამისი ინტერვენციები. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.3.2. 2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ასევე ,სტრატეგიული განვითარების გეგმაში ნათლად ჩანს სკოლის მზაობა და ხედვა მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების შესახებ მაგალითად, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, თვითშეფასება. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შეფასებისთვის გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი წყაროები: ანკეტირება, დაკვირვების ფურცელი, ინტერვიუ, კრიტიკული მეგობრის რეფლექსია და სხვა. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

ინდიკატორი 2.3.2.3.. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კათედრები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლებას, რაც იძლევა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების საშუალებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და კლასის ორგანიზების ფორმების

გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პრეზენტაცია და სხვა. შეფასება ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით, რაც მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ ისინი ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. შეფასება ხდება მოსწავლის ფსიქო-სოციალური, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე მასწავლებლებთან/ სპეცმასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სსსმ მოსწავლეებისთვის შედგენილია შეფასების გამარტივებული ვარიანტი, რაც გულისხმობს, რომ სამიზნე ცნებები იგივე რჩება, მაგრამ მარტივდება, მცირდება მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები და ქვეცნებები, ასევე პროდუქტის წარდგენის სახე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო;
- შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის მიზნით, ხოლო სკოლის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ "წლის ბოლოს ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენისას პედაგოგიური საბჭოს წინაშე იგეგმება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავება. შესაძლებელია მთელი წელი კურიკიულუმის დანერგვა და მონიტორინგი. ტარდება კათედრების სხდომები და ერთობლივად გამოვკვეთთ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, ვაყალიბებთ სამომავლო ხედვებსა და ვეძებთ გაუმჯობესების გზებს." თუმცა ამ ეტაპზე არ არის მითითებული რა სახით ხდება რეფლექსია და საჭიროებების კვლევა. სკოლა ხედავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის აუცილებლობას.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია

2. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება, ხოლო მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის ბოლოს მოხდება საგნობრივ კათედრებზე აზრთა გაზიარება აღნიშნული საკითხის შესახებ; სასწავლო პროცესში შექმნილი მატრიცების, შესრულებული კომპლექსური დავალებების ანალიზისა, შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის საფუძველზე მოხდება ახალი კურიკულუმების შედგენა თითოეული კლასისათვის. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას "დაწერილ/შეთანხმებულ" და "აღსრულებულ" კურიკულუმს შორის.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამოქმედო გეგმა
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- ინტერვიუ პედაგოგებთან

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულნი არიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, ადმინისტრაცია, დირექცია და გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. მეთოდოლოგიაში აღწერილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპებზე განსახორციელებელი აქტივობები, ჩანს როგორ ხდება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება - წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ იკრიბებიან სასწავლო წლის დაწყებამდე, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობენ დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ კურკულკუმის შემუშავებისას აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს, გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებენ მშობლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მშობელთა მეტი ჩართულობის და მათი ინტერესების უზრუნველსაყოფად სკოლაში არსებოს „მშობელთა სათათბირო“. სკოლა აღნიშნავს, რომ მაქსიმალურად მეტი მშობლის ჩასართავად მომავალში გამოიყენებენ კითხვარებს, ანკეტირებას, ინტერვიუირებას.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში, მათ შორის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ინტერვიუზე იკვეთება, რომ კათედრაზე განიხილება თითოეული კლასის გასული სასწავლო წლის მიღწევები, განხორცილებული კომპლექსური დავალებები, გამოყენებული რესურსები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეაქვთ პედაგოგებს ცვლილებები კურიკულუმში. მასწავლებლები საგნობრივი ჯგუფის რესურსებისათვის იყენებენ OneDrive-ის ღრუბლოვან სივრცეს, ბლოგებს, შექმნილია Teams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის, სადაც მშობლებსა და მოსწავლეებს ეგზავნებათ კომპლექსური დავალების მშობლებისათვის განკუთვნილი ბარათი, დავალების პირობა და შეფასების რუბრიკა. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა აპირებს ზემოთხსენებული გაზიარების მექანიზმების დახვეწას, რისთვისაც მოსწავლეთა საჭიროებებისა და თავისებურებების გასათვალისწინებლად იგეგმება მშობელთა ანკეტირება. პედაგოგთა აზრით, მონაცემთა ანალიზი მისცემს მათ უფრო სიღრმისეულ ინფორმაციას და ორიენტირს, თუ როგორ შეიმუშაონ მომდევნო წლის საგნობრივი კურიკულუმები.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება) ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სასკოლო კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ წლის დასაწყისში მასწავლებლები მშობლებს უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს. მასწავლებლები სამუშაო შეხვედრაზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გამოწვევებს, განიხილავენ წარმატებული გაკვეთილის მახასიათებლებს, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილს და აკვირდებიან, თუ როგორ მუშაობს ერთი და იგივე მეთოდი სხვადასხვა კლასში.
ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის მოთხოვნებს და მასში იკვეთება მეთოდური ორიენტირები. პროცესის დაგეგმვა ხდება გრძელვადიანი სასწავლო მიზნების, სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, ქვეცნებებისა და საფეხურეობრივი შედეგების მიხედვით. დოკუმენტებიდან იკვეთება, რომ უპირატესობა კომპლექსური ტიპის დავალებებს ენიჭება და ისინი განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზნები. კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია საბაზო საფეხურის ყველა კლასში, კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, თემის ფარგლებში გამოკვეთილია სამიზნე ცნებები, საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ცოდნის ტრანსფერს უწყობს ხელს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობას. საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების დადგენის მიზნით დაგეგმილია სადიაგნოსტიკო ტესტის გამოყენება, მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით სკოლა ახორციელებს პროექტებს, შექმნილი აქვს სადამრიგებლო პროგრამა, ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ სკოლას აქვს დიფერენცირებული სწავლების გამოცდილებაც.
ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. საგნობრივი კურიკულუმები საბაზო საფეხურის კათედრის მასწავლებლებმა წარმოადგინეს სამიზნე ცნებებზე ფოკუსირებით, რომლებსაც უფრო აზუსტებს და მკაფიოს ხდის სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული ქვეცნებები. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით დაგეგმილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი აგებულია სავალდებულო თემების მიხედვით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. საგნობრივ კურიკულუმებში ასევე გამოკვეთილია საკითხთა ის კლასტერები და შესაბამისი კონტექსტ-მაგალითები, რომელთა გამოყენებითაც მასწავლებლებმა მოსწავლეებისათვის დაგეგმეს იმ საკითხების კომპლექსურად შესწავლა, რომელიც საგაკვეთილო პროცესში ნაბიჯ-ნაბიჯ გააქტიურებს ისეთ ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ნებელობა, მოქალაქეობა.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ, ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ისინი იცნობენ ინკლუზიური განათლების პრინციპებს და აქვთ აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გამოცდილებაც. საბაზო საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მმიდგომებს, ვინაიდან კლასში ჰყავთ სხვადასხვა საჭიროებების, ინტერესებისა და შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ, რომ ყოველთვის საჭიროა იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც აქტიურადაა ჩართული მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესში. სკოლაში ასევე შექმნილია ისგ ჯგუფები, კლასის დამრიგებლებთან და ისგ-ს ჯგუფებთან თანამშრომლობით ზუსტდება სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები და მათთვის სპეც. მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების ექსპერტის რეკომენდაციის გათვალისწინებით საბაზო საფეხურის საგნის მასწავლებლების მიერ იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით, საბაზო საფეხურზე სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული ინკლუზიური გარემოს შექმნას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ საბაზო საფეხურის მასწავლებლები იცნობენ და სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4. საბაზო საფეხურის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ , ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. აღნიშნული მიმართულებით მტკიცებულებების სახით სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა ეროვნული სასწავლო გეგმით შეთავაზებული სარეკომენდაციო სახის შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები, დამატებით, ინტერვიუს შემდეგ, წარმოდგენილი იქნა კონკრეტული განმავითარებელი შეფასების ინტრუმენტები/რუბრიკები, რომლებშიც დაზუსტებულია გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით რომელი სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების ფარგლებში მიიღებს მოსწავლე შეფასებას, შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, შექმნას კონკრეტული შეფასების რუბრიკები თემებთან მიმართებით, რომელიც მიმართული იქნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებისა და მათი ქვეცნებებისკენ. სკოლის მიერ წარმოდგენილ მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, თვითშეფასების კითხვარსა და სხვა დოკუმენტებში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა, შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები, სადაც იკვეთება, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. წარმოდგენილი დოკუმენტების და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლას მიეცა **რჩევები, რომლებიც შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:**

საგანში „ფიზიკური აღზრდა“ გამრავალფეროვნდეს განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები და მოერგოს კომპლექსურ დავალებებს.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის” დოკუმენტი, რომელშიც შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობისას ყურადღება ეთმობა წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. საბაზო საფეხურის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, იმასთან დაკავშირებით, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებას, კერძოდ, სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს, კლასის დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები, კათედრის ხელმძღვანელები წარმოადგენენ ანგარიშებს, რომელიც განიხილება კათედრებზე და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ჯამდება პედაგოგიურ საბჭოზე. კათედრის სამუშაო შეხვედრებზე მსჯელობენ მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზის, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსიების შესახებ, იზიარებენ კოლეგების გამოცდილებას, ახორციელებენ საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგსა და შეფასებას და შესაბამისად შეაქვთ ცვლილებები საგნობრივ კურიკულუმებში, მაგალითად: ასახავენ უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს გამოხატეს მზაობა სხვადასხვა წყაროების გამოყენებით გააგრძელონ წარმატებული პრაქტიკის მოკვლევა და განახორციელონ ანალიზი, ვინაიდან მისი გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სხვადასხვა საგნებში სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკურ აღზრდაში;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მათემატიკაში
- ქართული ენის კათედრის სხდომის ოქმი
- კლუბი “პოეზიის მხედრები”

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს საგნობრივ და ცხოვრებისეულ კონტექსტებთან მიმართებით. საგნობრივი კურიკულუმები იძლევა შესაძლებლობას განხორციელდეს ისეთი აქტივობები, რომელშიც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში, სხვადასხვა თვალთახედვით. გადმოსცემს და ხსნის იდეებს სხვადასხვა ფორმით, იყენებს მრავალფეროვან რესურსებს, ქმნის კომპლექსური დავალების პროდუქტს, აქვს შესაძლებლობა მუდმივად ინტერაქციაში იყოს თანატოლებთან, გასცეს და მიიღოს დაუყოვნებლივი უკუკავშირი, გაიზიაროს პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სკოლა საბაზო საფეხურზე გეგმავს ინტეგრირებული სასწავლო პროექტების განხორციელებას, რომლებიც ქმნის შესაძლებლობას თანამშრომლობითი გზით, ყველა ასაკის და საჭიროების მოსწავლე აქტიურად და თანაბრად იყოს ჩართული სხვადასხვა აქტივობებში.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესს წარმართავენ კონსტრუქტივიზმის ხუთივე პრინციპის დაცვით. საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/ განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა, რაც ხელს უწყობს შინაგანი მოტივაციის გააქტიურებასა და დასახული მიზნების მიღწევას. არსებულ ცოდნაზე ახლის დაშენებით, პედაგოგები ძველ ცოდნას განამტკიცებენ და ამით ახალ ცოდნას უფრო იოლად აღსაქმელს ხდიან. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ წინარე ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება მათ ეხმარება, რომ მოსწავლე თავად იყოს ყოველი ახლის აღმომჩენი და სწავლის უმთავრეს პროცესებზე პასუხისმგებელი.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მათი მხრიდან მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. მოსწავლე შესრულებული დავალებების ანალიზს აკეთებს: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ პედაგოგები ამისთვის

იყენებენ სხვადასხვა სქემას, რომელიც მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ და უადვილებთ მათ მეტაკოგნიტურ პროცესებს. მეტაკოგნიციაზე აქცენტი ისახება სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, საკლუბო მუშაობაში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ანალიზსა და პედაგოგებთან გასაუბრებისას მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებში, შეჯიბრებებსა და კონფერენციებში, მუშაობენ კომპლექსურ დავალებებზე, თითოეული დავალების განხორციელებისას, უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. სკოლაში იგეგმება პროექტები და ინტეგრირებული გაკვეთილები, სადაც მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის და სირთულის დავალებებს, ეს პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნის მარტივად და საფუძვლიანად ათვისებას და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. საბაზო საფეხურზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში.თუმცა უნდა აღინიშნოს , რომ სასურველია სკოლას ჰქონდეს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, რაც ერთერთი ხელის შემწყობი ფაქტორია პედაგოგების მიერ განსაზღვრული კურიკულემების განხორციელებისთვის კერძოდ პროცედურული ცოდნის ოპერაციების/ პროცედურების დონეზე რეალიზების.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. საბაზო საფეხურის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია ისე, რომ კომპლექსური დავალებებით სწავლება შუალედურ მიზნებად არის მოაზრებული. კურიკულუმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ მოსწავლეთა განვითარების პროცესში ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების როლი. კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსწავლეებში როგორც საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, ასევე ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ვინაიდან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. ეს ყოველივე კი თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ზემოთ აღნიშნული ოპერაციები აწარმოოს. **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საკლუბო მუშაობა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლესური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებებს, აკონკრეტებს ქვეცნებებს, მიმართულია საგნობრივი საკითხის მრავალმხრივი გააზრებისკენ და უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბაზო საფეხურის პედაგოგთა მზაობა გამოიკვეთა მათთან გასაუბრების პროცესშიც. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისა და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას". გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებში ემპათიის უნარისა და ფსიქო-სოციალური განვითარების ხელშეწყობისთვის სკოლაში საგაკვეთილო თუ საკლუბო მუშაობის ფარგლებში იგეგმება მრავალფეროვანი აქტივობები. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს სადამრიგებლო პროგრამებიც, სადაც მკაფიოდაა გაწერილი დამრიგებლის როლი მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. მოქმედი სასკოლო კურიკულუმით სკოლის შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასწვლო გეგმას. შეფასება სასწავლო პროცესშია ინტეგრირებული და მოსწავლისათვის ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასების მექანიზმად და მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად სკოლაში საბაზო საფეხურის მასწავლებლები იყენებენ ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს. შეფასება ცოდნის აგებასა და გამოყენებაზეა ფოკუსირებული, რაც გულისხმობს შეფასების ორიენტირებას მოსწავლის შესაძლებლობების, უნარებისა და პოტენციალის განვითარების დინამიკაზე; შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს და გამომდინარეობს მათგან. ასეთი შეფასება ეხმარება მოსწავლეებს განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. არსებული შეფასება წარმოადგენს მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგების დიფერენცირებულ ანალიზს, რომელიც ავლენს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს და აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას, განსაზღვროს თუ როგორ შეიძლება იმუშაოს არსებულ გამოწვევებზე, აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. საბაზო საფეხურის მასწავლებლები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად VII, VIII და IX კლასებში მოსწავლეებს აფასებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი, ე.ი. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორიენტირებით. კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენდეს რეფლექსიას მათი სწავლის პროცესზე. მასწავლებლები შმუშავებულ შეფასების რუბრიკებს განიხილავენ კათედრის სხდომაზე, ხოლო შემდგომ პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს მათ. სკოლას აქვს შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გამოცდილებაც. სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს სასწავლო პროცესში გამოყენებული თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. მოსწავლეებისა და მშობლებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების სისტემა. სკოლას შეფასების სისტემის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელშიც ხაზგასმულია, რომ სასკოლო საზოგადოებას და, პირველ რიგში, მოსწავლეს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება არის: ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო. საბაზო საფეხურის პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ შფასების რუბრიკების შმუშავების პროცესში უფრო აქტიურად ჩართონ მოსწავლეები, რაც გაზრდის შეფასების სისტემის ხარისხს მეტი ობიექტურობისა, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის თვალსაზრისით.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი. ამ დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც, გულისხმობს შეფასების ვერიფიკაციის პროცედურებს, შესაფასებელი დავალებებისა და მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების რუბრიკის შესაბამისობის დადგენას როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მეთოდიკურ ორიენტირებთან და საგნობრივ სტანდარტთან, ასევე, დავალების მიზანთან, შინაარსთან და ფორმასთან. ამ დოკუმენტში ნათლად იკითხება, თუ როგორი უნდა იყოს მტკიცებულებების ვერიფიკაცია, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს პროცესი. სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის აღმწერი დოკუმენტის მე-4 მუხლში ვკითხულობთ, რომ ,,ვერიფიკაციის პროცესში სკოლა ითვალისწინებს: ა) შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებას; ბ) შეფასების მიზნის განსაზღვრას; გ) შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას. დოკუმენტის მე-11 მუხლში იკითხება აზრი, რომ ვერიფიკაციის შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის და კურიკულუმის გასავითარებლად.

ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, საქმისწარმოების წესის შესაბამისად, სკოლაში ინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადით (3 წლით). კათედრებზე შენახულია მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვა ხდება ელექტრონულ ჟურნალშიც. სკოლას აქვს მოსწავლის პირადი საქმეებიც, სადაც შეტანილია მოსწავლეთა წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნის გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება საქმეთამმართველთან.

ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის აღმწერი დოკუმენტი;

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სადიაგნოსტიკო ტესტები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმები;
- საკლუბო მუშაობა;
- სადამრიგებლო პროგრამა.დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება მზადაა, შექმნას სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რომლის განაცხადი გაკეთებულია სკოლის მისის, ხედვისა და ღირებულებების ამსახველ დოკუმენტში და რომელსაც უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეულ პუნქტში გაწერილი საკითხები. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, ასევე, წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ანალიზი, ისგ ჯგუფის ოქმი N3 – სსსმ მოსწავლის კომპლექსური დავალების განხორციელებით მიღწეული შედეგების განხილვის შესახებ, საგნობრივი კათედრების მუშაობის ანგარიშები და სხვ. აღასტურებს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად

ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, პროექტებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. რიგ შემთხვევებში კომპლექსური დავალებების პირობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს საბოლოო პროდუქტი წარმოადგინონ მათთვის მისაღები საპრეზენტაციო ფორმით, რაც ასევე უზრუნველყოფს მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებები, მასწავლებელი უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბარ ჩართულობას, რაც თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს შექმნას უწყობს ხელს. მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან მოსწავლის წარმატებაზე, პროგრესსა და მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო საათებს, მოსწავლეებს აძლევენ სხვადასხვა ტიპის პროექტებსა და სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების საშუალებას. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ პროექტებში ჩართულობა საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. განსაკუთრებით აღნიშნეს, ამ მხრივ, საკლუბო მუშაობა, რომელიც ძალზე ნაყოფიერი და წარმატებული აღმოჩნდა მოსწავლეთა ჩართულობისა და ინტერესების დაკმაყოფილების თვალსაზრისით. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, ახალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში მოსწავლეთა და მშობელთა მეტი ჩართულობისთვის განახორციელონ სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, რათა მეტად გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, მათი ჩართულობით შეარჩიონ სასწავლო პროექტების, სასკოლო კლუბის საქმიანობის თემატიკა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და დადებითად აისახება მათ სასწავლო შედეგებზე.

ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.

3. პედაგოგებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისას იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული ურთიერთთანამშრომლობის დადებითი ასპექტები. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, ხდება გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება, კათედრის წევრებს შორის უკუკავშირი. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ხორციელდება არაფორმალური აქტივობები, სასწავლო პროექტებში ერთიანდებიან სხვადასხვა კლასის მოსწავლეები, სხვადასხვა საგნის მასწავლებელი, მშობელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი და მათი ურთიერთთანამშრომლობით მიიღწევა დადებითი შედეგი. ამ მხრივ, აღსანიშნავია საკლუბო მუშაობის წვლილი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული სხვადასხვა ტიპის დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, ელექტრონული რესურსები. სოციალურ ქსელში, სკოლის გვერდზე სისტემატურად აისახება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა ანგარიშები, სადამრიგებლო პროგრამები. კომუნიკაცია მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს, სკოლის დირექციასა და ადმინისტრაციასთან უწყვეტი და დინამიკურია.

ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში არის სოციალურად, ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემო. ჩანს, რომ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები ერთად მუშაობენ პოზიტიური გარემოს შექმნისათვის, ამას ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბები, პროექტები და არაფორმალური აქტივობები, რომელიც მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება. სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულნი არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა პირისპირ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა სათათბირო, რომელიც მონაწილეობს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების მოკვლევასა და განხილვაში. სასკოლო

საზოგადოება ჩართულია ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციულ ღონისძიებებში. პანდემიის პერიოდში სკოლა განსაკუთრებით თანამშრომლობდა მშობლებთან, აღგენდა მათთვის ელექტრონულ კითხვარს და ამ ფორმით იკვლევდა საჭიროებებსა და ინტერესებს. დამრიგებლები თავიანთ ანგარიშებში წარმოაჩენენ მშობელთა ჩართულობის ფორმებსა და აქტივობებს.

ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობელთა სათათბირო;
- მშობელთა გამოკითხვა;
- ბროშურა მშობელთათვის.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ჩარჩო/გეგმა, რომელშიც სკოლა აღნიშნავს, რომ კურიკულუმი შედგენილია სკოლის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებაში ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრები (მასწავლებელი, საგნობრივი კათედრები, დირექცია, მშობელი). ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში

სკოლას აქვს წარმოდგენილი მკაფიო ხედვა, სადაც მონიტორინგს და შეფასებას განიხილავს სასწავლო პროცესის თანმდევ მექანიზმად. სკოლას დეტალურად აქვს გაწერილი შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტები, წარმოდგენილია სასწავლო პროცესის შეფასების ინდიკატორები და მონაცემების შეგროვების გზები.

ინდიკატორი 2..3.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (გაკვეთილზე დასწრების რეფლექსიები, საგნობრივი კათედრების ოქმები, დასწრების აღრიცხვის ჟურნალი, კლასის ხელმძღვანელის ანგარიში- სამუშაო გეგმები,) ნათლად ჩანს, რომ სკოლაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და წახალისებაზე. აღნიშნულს ადასტურებს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების მიზნით გამოცემული ბრძანება. 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია კათედრების სამოქმედო გეგმა, სადაც გამოკვეთილია მონიტორინგსა და შეფასებაზე ორიენტირებული აქტივობები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მასწავლებელთა თვითრეფლექსიის შედეგები, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი.

ინდიკატორი 2..3.1.2 დაკმაყოფილებულია

3. 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას თვითშეფასების საფუძველზე წარმოდგენილი აქვს გასავითარებელი მიმართულებები. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში იგეგმება კვლევითი კითხვარის შექმნა, რომელიც დააზუსტებს არა მხოლოდ მოსწავლეთა ინტერესებს, არამედ მასწავლებელთა მიგნებებსა და საჭიროებებს. გამოყენებული იქნება ელექტრონული კითხვარი, რომლის ანალიზის შედეგები აისახება სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. ასევე პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე იგეგმება სწავლა-სწავლების პროცესში არსებული გამოწვევების განხილვა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლას განსაზღვრული აქვს მკაფიო ხედვა გამოკვეთილი პრობლემების შესაბამისად თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ისე მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარების კუთხით. თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში აისახება მონიტორინგისა და შეფასების ვალიდური რუბრიკები შეფასების ინსტრუმენტებით.

ინდიკატორი 2..3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გაკვეთილზე დასწრების რეფლექსიები
- კლასის ხელმძღვანელის ანგარიში
- დასწრების აღრიცხვის ჟურნალი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- თვითშეფასება
- კათედრის ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმებიდან და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხდება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით, რაც ჩანს სადამრიგებლო პროგრამებში, პედაგოგიურ/ საბჭოს/კათედრის /მშობელთა ოქმებში, რომლებშიც ასახული და განხილულია მოსწავლეთა მიღწევები და გამოკვეთილი პრობლემები/ დაგეგმილი ინტერვენციები. ამასთანავე კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში იკვეთება სკოლის ხედვა და სამომავლო მზაობა მოსწავლეთა სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შეფასების შესახებ. აღნიშნულ მსჯელობას ადასტურებს მასწავლებლებთან/სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებაც. მოცემული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.

ინდიკატორი 2.3.2. 1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტითა და შეფასების რუბრიკებით დასტურდება, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტსა და ფაქტორზე დაყრდნობით, ვინაიდან ყველა მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია. ეს საშუალებას იძლევა მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასებისას გამოვლინდეს მისი სხვადასხვა უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაშიც ჩანს, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასება მოახდინოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მაგალითად, მოსწავლის მიღწევების/საჭიროებების, მისი სოციალურ და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობის მონიტორინგით, რასაც ადასტურებს საბაზო საფეხურის კათედრის/მშობელთა სხდომის ოქმები. სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და შემდგომში დაგეგმოს შესაბამისი ინტერვენციები. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.3.2. 2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ასევე, სტრატეგიული განვითარების გეგმაში ნათლად ჩანს სკოლის მზაობა და ხედვა მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების შესახებ მაგალითად, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, თვითშეფასება. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შეფასებისთვის გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი წყაროები: ანკეტირება, დაკვირვების ფურცელი, ინტერვიუ, კრიტიკული მეგობრის რეფლექსია და სხვა. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

ინდიკატორი 2.3.2.3.. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კათედრები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლებას, რაც იძლევა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების საშუალებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და კლასის ორგანიზების ფორმების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პრეზენტაცია და სხვა. შეფასება ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით, რაც მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ ისინი ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. შეფასება ხდება მოსწავლის ფსიქო-სოციალური, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე მასწავლებლებთან/ სპეცმასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სსსმ მოსწავლეებისთვის შედგენილია შეფასების გამარტივებული ვარიანტი, რაც გულისხმობს, რომ სამიზნე ცნებები იგივე რჩება, მაგრამ მარტივდება, მცირდება მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები და ქვეცნებები, ასევე პროდუქტის წარდგენის სახე.

აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის მიზნით, ხოლო სკოლის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ "წლის ბოლოს ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენისას პედაგოგიური საბჭოს წინაშე იგეგმება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავება. შესაძლებელია მთელი წელი კურიკიულუმის დანერგვა და მონიტორინგი. ტარდება კათედრების სხდომები და ერთობლივად გამოვკვეთთ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, ვაყალიბებთ სამომავლო ხედვებსა და ვეძებთ გაუმჯობესების გზებს." თუმცა ამ ეტაპზე არ არის მითითებული რა სახით ხდება რეფლექსია და საჭიროებების კვლევა. სკოლა ხედავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის აუცილებლობას.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია

2. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება, ხოლო მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის ბოლოს მოხდება საგნობრივ კათედრებზე აზრთა გაზიარება აღნიშნული საკითხის შესახებ; სასწავლო პროცესში შექმნილი მატრიცების, შესრულებული კომპლექსური დავალებების ანალიზისა, შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის საფუძველზე მოხდება ახალი კურიკულუმების შედგენა თითოეული კლასისათვის. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას "დაწერილ/შეთანხმებულ" და "აღსრულებულ" კურიკულუმს შორის.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამოქმედო გეგმა
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- ინტერვიუ პედაგოგებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულნი არიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, ადმინისტრაცია, დირექცია და გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. მეთოდოლოგიაში აღწერილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპებზე განსახორციელებელი აქტივობები, ჩანს როგორ ხდება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება - წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ იკრიბებიან სასწავლო წლის დაწყებამდე, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობენ დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ კურკულკუმის შემუშავებისას აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს, გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებენ მშობლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მშობელთა მეტი ჩართულობის და მათი ინტერესების უზრუნველსაყოფად სკოლაში არსებოს „მშობელთა სათათბირო". სკოლა აღნიშნავს, რომ მაქსიმალურად მეტი მშობლის ჩასართავად მომავალში გამოიყენებენ კითხვარებს, ანკეტირებას, ინტერვიუირებას.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში, მათ შორის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ინტერვიუზე იკვეთება, რომ კათედრაზე განიხილება თითოეული კლასის გასული სასწავლო წლის მიღწევები, განხორცილებული კომპლექსური დავალებები, გამოყენებული რესურსები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეაქვთ პედაგოგებს ცვლილებები კურიკულუმში. მასწავლებლები საგნობრივი ჯგუფის

რესურსებისათვის იყენებენ OneDrive-ის ღრუბლოვან სივრცეს, ბლოგებს, შექმნილია Teams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის, სადაც მშობლებსა და მოსწავლეებს ეგზავნებათ კომპლექსური დავალების მშობლებისათვის განკუთვნილი ბარათი, დავალების პირობა და შეფასების რუბრიკა. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა აპირებს ზემოთხსენებული გაზიარების მექანიზმების დახვეწას, რისთვისაც მოსწავლეთა საჭიროებებისა და თავისებურებების გასათვალისწინებლად იგეგმება მშობელთა ანკეტირება. პედაგოგთა აზრით, მონაცემთა ანალიზი მისცემს მათ უფრო სიღრმისეულ ინფორმაციას და ორიენტირს, თუ როგორ შეიმუშაონ მომდევნო წლის საგნობრივი კურიკულუმები.
ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება) ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სასკოლო კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ წლის დასაწყისში მასწავლებლები მშობლებს უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს. მასწავლებლები სამუშაო შეხვედრაზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გამოწვევებს, განიხილავენ წარმატებული გაკვეთილის მახასიათებლებს, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილს და აკვირდებიან, თუ როგორ მუშაობს ერთი და იგივე მეთოდი სხვადასხვა კლასში.
ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ეფუძნება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის მოთხოვნებს, მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ცოდნის ტრანსფერს უწყობს ხელს. საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების დადგენის მიზნით

დაგეგმილია სადიაგნოსტიკო ტესტის მეორე ინსტრუმენტის გამოყენება მასწავლებლის უკუკავშირით, რომელშიც მასწავლებელი კონკრეტულად აღწერს, მოსწავლის შესაძლებლობებს უკეთესი შედეგის მისაღწევად. სკოლას აქვს დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა პრიორიტეტულ საკითხადაა დასახელებული საშუალო საფეხურის კათედრების სხდომის ოქმებში, სადაც განხილულა კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებითაა შექმნილი სადამრიგებლო პროგრამებიც. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში ცოდნის აგების ერთ-ერთ გზად განიხილავენ კომპლექსური ტიპის დავალებებს. საშუალო საფეხურის ყველა კლასში გაწერილია სხვადასხვა რაოდენობის კომპლექსური დავალება, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ თითოეულ თემას დაუკავშირებენ ცხოვრებისეულ კონტექსტ მაგალითებს და ამ გზით აღძრავენ მოსწავლეებში ინტერესს შესასწავლი თემის მიმართ. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფიზიკური აღზრდის X და XII კლასების საგნობრივ კურიკულუმებში მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ ერთი და იმავე თემების გავლა თეორიულ ნაწილში, კერძოდ: მავნე ჩვევები (თამბაქო და ალკოჰოლი). აღნიშნული თემები ასევე გვხდება საბაზო საფეხურზე VIII კლასის საგნობრივ კურიკულუმში. ამასთანავე, XI კლასის საგნობრივ კურიკულუმში დაგეგმილია ოლიმპიზმის თემის ფარგლებში იმავე საკითხების გავლა, რაც წარმოდგენილია საბაზო საფეხურზე, VII კლასის კურიკულუმში (ოლიმპიური თამაშების წარმოშობის მითები და ლეგენდები; ოლიმპიური თამაშები ძველ საბერძნეთში). რაც შეეხება საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრას, აღნიშნულ კათედრას მტკიცებულებების სახით არ წარმოუდგენია XII კლასის საგნობრივი კურიკულუმები. სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლას მიეცა რჩევები, რომლებიც შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:

1) X და XII კლასებში ფიზიკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმებში მასწავლებლებმა განსაზღვრონ ერთმანეთისგან განსხვავებული, მრავალფეროვანი თეორიული საკითხების გავლა;

2) XI კლასის ფიზიკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმში მასწავლებლებმა განსაზღვრონ VII კლასისგან განსხვავებული თემა, ან იმავე თემის ფარგლებში განსხვავებული საკითხების გავლა.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ შეიმუშავოს XII კლასის საგნობრივი კურიკულუმები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა XII კლასის კურიკულუმი, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. კერძოდ თემების შესაბამისი ცნებების, ქვეცნებების,საკითხთა კლასტერების და ქვესაკითხების მიხედვით, წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების 16 იდეა, თუმცა სასურველია კათედრამ გათვლა გააკეთოს იმ კომპლექსურ დავალებებზე რომლებიც რეალურად შესრულებადია და გააგრძელოს მუშაობა კონტექსტ მაგალითების შექმნაზე.შესაბამისად ექსპერტის გადაწყვეტილებით მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანილია შესაბამისობაში

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში გამოკვეთილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერს უწყობს ხელს. კურიკულუმი გაწერილია საგნობრივი სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის გათვალისწინებით. კომპლექსური დავალების იდეა გაწერილია საშუალო საფეხურის ყველა კლასში. დაგეგმილი პროცესი იძლევა საშუალებას ნაბიჯ-ნაბიჯ გააქტიურდეს ისეთი ფუნქციურ-კომპონენტური უნარები როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ნებელობა, მოქალაქეობა. მოსწავლის გლობალურ-ფუნქციური უნარები. კურიკულუმებში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა დახმარებითაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. დავალებების შესრულების პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის ჩართულობას კომუნიკაციის

პროცესში, მას უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/პრობლემის გადაჭრისას სჭირდება შემოქმედებითობა და გუნდურობა, ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიცური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს ჩამოყალიბებული სამომავლო ხედვა, შესაბამისად მზაობა კურიკულუმები მიმართოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ, პროცესში გააქტიუროს მოსწავლის გლობალურ- ფუნქციური უნარები და განუვითაროს მოსწავლეს გამჭოლი კომპეტენციები.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომას, მოსწავლეზე ორიენტირებულ სიღრმისეულ სწავლებას, ხოლო მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. საშუალო საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სკოლის ბაზაზე განხორციელებული სხვადასხვა პროექტი, საკლუბო მუშაობის ამსახველი მასალები, სწავლების პროცესში დიფერენცირებული მიდგომებისათვის განკუთვნილი ელექტრონული რესურსები, ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები, რომელიც ეხება მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმებისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შემუშავებას, ხოლო შემდეგ ეტაპზე მათ განხორციელებასა და მიღწეულ შედეგების შეფასებას. ინკლუზიური განათლების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებს ინკლუზიური განათლების პროცესის შეფასებას. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგიც, რომელიც აქტიურადაა ჩართული მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესში. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ ყოველთვის საჭიროა იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის.

ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. საშუალო საფეხურის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის რამდენიმე ნიმუში, მოთხოვნების შესაბამისად. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ პედაგოგები 2023-2024 სასწავლო წლისთვის საჭირო რუბრიკების შექმნაზე მუშაობენ წარმოდგენილი ნიმუშების მსგავსად: განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს ქმნიან სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს - სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების შესაბამისად. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება გათვლილია გრძელვადიანი მიზნებზე და ითვალისწინებს მეთოდიკურ ორიენტირებს, მოსწავლეთა მოტივირებას, შინაგანი ძალისხმევის გააქტიურებას, სწავლის სტრატეგიების დაუფლებას, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას. შეფასების რუბრიკები შემუშავებულია კათედრების წევრთა ჩართულობით და მასწავლებელთა მხრიდან ის განიხილება, როგორც სწავლა-სწავლების შედეგების გაუმჯობესების გზა. აღსანიშნავია, რომ საშუალო საფეხურზე ზოგიერთი საგანი სავალდებულო პროექტების სახით ისწავლება, პროექტებით სწავლება ითვალისწინებს მოსწავლის განმავითარებელი შეფასებას. ე. წ. სოლო ტაქსონომიით, წერილობით თუ ზეპირი ფორმით. სკოლა გამოთქვამს მზაობას აღნიშნული მიმართულებით შექმნას განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არასრულყოფილადაა შევსებული. კერძოდ:

- მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ბიოლოგიის სტანდარტის მიხედვით როგორც X, ასევე XI კლასში არსებულ ყველა სავალებულო თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, მათ შორის ცნება – ბიომრავალფეროვნებაც, თუმცა კათედრის მიერ წარმოდგენილ X კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში არ არის მითითებული თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ ბიომრავალფეროვნების ცნების ასათვისებლად.
- კათედრის მიერ წარმოდგენილ X კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში შეფასების კრიტერიუმი ,,ბიომრავალფეროვნება'' არ არის შეფასებული ქულით.
- კათედრის მიერ წარმოდგენილ XI კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში (თემა: ევოლუცია) არ არის მითითებული თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ ცნებების – ,,სტრუქტურა და ფუნქცია", ,,ჯანმრთელობა და დაავადება" – ასათვისებლად.
- კათედრის მიერ წარმოდგენილ XI კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში შეფასების კრიტერიუმები – ,,სტრუქტურა და ფუნქცია'' და ,,ჯანმრთელობა და დაავადება" – არ არის შეფასებული ქულით.
- მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფიზიკის სტანდარტის მიხედვით თემა :,,მუდმივი დენის კანონები" მოიცავს ოთხივე სამიზნე ცნებას, თუმცა კათედრის მიერ წარმოდგენილი X-XI კლასის ფიზიკის განმავითარებელი და განმსაზღვრელ რუბრიკები აფასებს მათგან მხოლოდ ორ სამიზნე ცნებას .

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლას მიეცა რჩევები, რომლებიც შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:

ბიოლოგიასა და ფიზიკაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სრულყოფილად შეივსოს შეფასების რუბრიკები.
საგანში ,,ფიზიკური აღზრდა" გამრავალფეროვნდეს განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები და მოერგოს კომპლექსურ დავალებებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინებით XII კლასისთვის შეიმუშავოს შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლას წარმოდგენილი აქვს ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტი, რომელშიც შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობისას ყურადღება ეთმობა წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. საშუალო საფეხურის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს იმასთან დაკავშირებით, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ კათედრის სამუშაო შეხვედრებზე მსჯელობენ მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზის, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსიების შესახებ, იზიარებენ კოლეგების გამოცდილებას, ახორციელებენ საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგსა და შეფასებას და წინარე გამოცდილებიდან გამომდინარე შეაქვთ ცვლილებები მათში, მაგალითად: ასახავენ უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს გამოხატეს მზაობა სხვადასხვა წყაროების გამოყენებით გააგრძელონ წინარე გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და განახორციელონ ანალიზი, ვინაიდან მისი გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული გეგმა
- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,
- პროექტები ნიმუშები
- თვითშეფასების ფორმა
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- საგნობრივი კურიკულუმები საშუალო საფეხურზე
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება
2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებელები ცდილობენ, გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. კათედრის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. კომპლექსური დავალებების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები მიმართულია მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაციისკენ, მოსწავლე თავად აიდენტიფიცირებს,

განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, მოიპოვებს ახალ ინფორმაციას, დაამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა რაკურსით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტი, მიმდინარეობს საკლუბო მუშაობა, ტარდება მხატვრული და ინტელექტუალური ღონისძიებები. სკოლა გამოთქვამს მზაობას, საშუალო საფეხურზე მომავალი სასწავლო წელი დაგეგმოს ისე, რომ სასწავლო პროცესი იძლეოდეს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პედაგოგებთან გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციის თანახმად, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. მასწავლებლები სასწავლო პროცესს წარმართავენ კონსტრუქტივიზმის ხუთივე პრინციპის დაცვით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. მომავალი სასწავლო წლისთვის პედაგოგები გეგმავენ ყველა თემა,მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტს დაუკავშირონ, რაც მოსწავლეებს მისცემს წინარე ცოდნის გააქტიურების და ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა , რომ საშუალო საფეხურზე, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე, რათა მოსწავლეებმა შეძლონ დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი და სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. წარმოდგენილი კურიკულუმები , მასში გაწერილი კომპლექსური დავალებები, წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გააანალიზოს საკუთარი სწავლის პროცესი და გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგია სტანდარტის შედეგების და ინდიკატორების მისაღწევად. დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელება მოიაზრებს სხვადასხვა მეტაკოგნიტური სტრატეგიის გამოყენებას, საბოლოო პროდუქტის შექმნა კი მოსწავლისაგან მოითხოვს საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვას, რეფლექსიას, ინფორმაციის გადამუშავების და ცოდნად გარდაქმნის უნარების გამოყენებას. მასწავლებლების მხრიდან მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. მოსწავლე აკეთებს შესრულებული დავალებების ანალიზს - რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ პედაგოგები ამისთვის იყენებენ სხვადასხვა სქემას, რომელიც მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ და უადვილებთ მათ მეტაკოგნიტურ პროცესებს. მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე აქცენტი ასახულია სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, საკლუბო მუშაობაში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში. სკოლას აქვს ხედვა, როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის მრავალფეროვანი სტარტეგიების დაუფლება.

ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. საშუალო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) ორიენტირების საჭიროება. სასწავლო პროცესში მოსწავლეები მუშაობენ კომპლექსურ დავალებებზე, თითოეული დავალების განხორციელებისას უწევთ საკითხებისა და ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისასაც იკვეთება, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმის შედგენისას პედაგოგები ყოველთვის ითვალისწინებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების აუცილებლობას. ამისთვის კათედრის მიერ იქმნება თემატური მატრიცები, არჩევენ შესაბამის აქტივობებს და რესურსებს. გეგმავენ პროექტებს და ინტეგრირებულ

გაკვეთილებს, სადაც მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის და სირთულის დავალებებს, მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებში, შეჯიბრებებში, კონფერენციებში. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნის მარტივად და საფუძვლიანად ათვისებას და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. საშუალო საფეხურზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. აღნიშნული მიმართულებით სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები, ინტეგრირებული გაკვეთილები, პროექტები და საკლუბო მუშაობის ამსახველი მასალა. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების ხელშემწყობი აქტივობების გათვალისწინების აუცილებლობა. კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. აღნიშნული ტიპის დავალებებზე მუშაობა თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს აღნიშნული ოპერაციები აწარმოოს. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- სტრატეგიული გეგმა
- კომპლექსური დავალებები ჩაშენებული კურიკულუმში
- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,
- სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სამუშაო გეგმა /დებულება
- საგნობრივი კურიკულუმები, განხორციელებული პროექტები სხვადასხვა ღონისძიებებში კათედრის მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტები
- სკოლის სტრატეგიული გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით გათავისებას. საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რომლისკენაც მიემართება სავალდებულო თემების ფარგლებში დაგეგმილი საკითხების სწავლების პროცესი. სამიზნე ცნებებს აზუსტებს ქვეცნებები, რომელთა საშუალებითაც ასევე დაზუსტებულია შესაბამის საკითხები და ქვესაკითხები. პედაგოგებთან გასაუბრებისას ასევე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, სავალდებულო პროექტები თუ არაფორმალური განათლების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ საშუალო საფეხურზე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებისკენაც. მოსწავლეებს დავალებებზე მუშაობისას, ნამუშევრების შექმნისას, სხვადასხვა პროექტში მონაწილეობის მიღებისას უწევთ საკუთარი თავის, შესაძლებლობების, უნარების, მისწრაფებებისა და ინტერესების გამოხატვა, საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ემოციებზე, გრძნობებსა და დამოკიდებულებებზე მსჯელობა, შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა. აღნიშნულ პროცესებში ისინი აცნობიერებენ სხვების პოზიციას და შესწავლილი საკითხიდან გამომდინარე გამოხატავენ ემპათიას სხვების მიმართ, თანაკლასელებთან ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უმკლავდებიან სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, პერსონალურ თუ სოციალურ ქცევებს შორის აკეთებენ ეთიკურ და კონსტრუქციულ არჩევანს. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგვარი ქმედებები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. მოქმედი სასკოლო კურიკულუმის მიხედვით სკოლის შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასაწვლო გეგმას. შეფასება სასწავლო პროცესშია ინტეგრირებული და მოსწავლისათვის ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასების მექანიზმად და განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად საშუალო საფეხურის მასწავლებლები უმეტეს შემთხვევაში იყენებენ ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს. შეფასება ცოდნის აგებასა და გამოყენებაზეა ფოკუსირებული, რაც გულისხმობს შეფასების ორიენტირებას მოსწავლის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე, შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს და გამომდინარეობს მათგან. ასეთი შეფასება ეხმარება მოსწავლეებს განივითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები.

ინდიკატორი 2..2.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ სასკოლო საზოგადოებას და, პირველ რიგში, მოსწავლეს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო. საშუალო საფეხურის მასწავლებლები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად IX-XII კლასებში მოსწავლეებს აფასებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. მასწავლებლები წინასწარ ქმნიან და აცნობენ შეფასების რუბრიკებს, როგორც მშობლებსა და მოსწავლეებს, ისე ადმინისტრაციის წევრებს. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია

შეფასების მიზანი, ე.ი. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორიენტირებით. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენდეს მათი სწავლის პროცესის რეფლექსიას. მასწავლებლების მიერ შემუშავებული რუბრიკებს განიხილავენ და ათანხმებენ კათედრის სხდომაზე, ხოლო პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს მათ. სკოლას აქვს შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გამოცდილებაც. ასევე, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს სასწავლო პროცესში გამოყენებული თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. აღნიშნული მიზნების მისაღწევად სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის აღმწერი დოკუმენტიც. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.

ინდიკატორი 2..2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი. ამ დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც, გულისხმობს შეფასების ვერიფიკაციის პროცედურებს, შესაფასებელი დავალებებისა და მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების რუბრიკის შესაბამისობის დადგენას როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მეთოდიკურ ორიენტირებთან და საგნობრივ სტანდარტთან, ასევე, დავალების მიზანთან, შინაარსთან და ფორმასთან. ამ დოკუმენტში ნათლად იკითხება, თუ როგორი უნდა იყოს მტკიცებულებების ვერიფიკაცია, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს პროცესი. სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის აღმწერი დოკუმენტის მე-4 მუხლში ვკითხულობთ, რომ „ვერიფიკაციის პროცესში სკოლა ითვალისწინებს: ა) შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებას; ბ) შეფასების მიზნის განსაზღვრას; გ) შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას. დოკუმენტის მე-11 მუხლში იკითხება აზრი, რომ ვერიფიკაციის შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის და კურიკულუმის გასავითარებლად.

ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, საქმისწარმოების წესის შესაბამისად, სკოლაში ინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადით (3 წლით). კათედრებზე შენახულია მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვა ხდება ელექტრონულ ჟურნალშიც. სკოლას აქვს მოსწავლის პირადი საქმეებიც, სადაც შეტანილია მოსწავლეთა წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნის გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება საქმეთამმართველთან.

ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის აღმწერი დოკუმენტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- სადიაგნოსტიკო ტესტები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

- შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმები.
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- სკოლის საკლუბო მუშაობა;
- სადამრიგებლო პროგრამა.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება მზადაა, შექმნას სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რომლის განაცხადი გაკეთებულია სკოლის მისის, ხედვისა და ღირებულებების ამსახველ დოკუმენტში და რომელსაც უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეულ პუნქტში გაწერილი საკითხები. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, ასევე, წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ანალიზი, ისგ ჯგუფის ოქმი N3 – სსსმ მოსწავლის კომპლექსური დავალების განხორციელებით მიღწეული შედეგების განხილვის შესახებ, საგნობრივი კათედრების მუშაობის ანგარიშები და სხვ. აღასტურებს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, პროექტებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. რიგ შემთხვევებში კომპლექსური დავალებების პირობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს საბოლოო პროდუქტი წარმოადგინონ მათთვის მისაღები საპრეზენტაციო ფორმით, რაც ასევე უზრუნველყოფს მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებები, მასწავლებელი უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბარ ჩართულობას, რაც თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს შექმნას უწყობს ხელს. მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან მოსწავლის წარმატებაზე, პროგრესსა და მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო საათებს, მოსწავლეებს აძლევენ სხვადასხვა ტიპის პროექტებსა და სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების საშუალებას. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ პროექტებში ჩართულობა საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. განსაკუთრებით აღნიშნეს, ამ მხრივ, საკლუბო მუშაობა, რომელიც ძალზე ნაყოფიერი და წარმატებული აღმოჩნდა მოსწავლეთა ჩართულობისა და ინტერესების დაკმაყოფილების თვალსაზრისით. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, ახალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში მოსწავლეთა და მშობელთა მეტი ჩართულობისთვის განახორციელონ სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, რათა მეტად გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, მათი ჩართულობით შეარჩიონ

სასწავლო პროექტების, სასკოლო კლუბის საქმიანობის თემატიკა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და დადებითად აისახება მათ სასწავლო შედეგებზე.

ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.

3. პედაგოგებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისას იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული ურთიერთთანამშრომლობის დადებითი ასპექტები. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას , ხდება გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება, კათედრის წევრებს შორის უკუკავშირი. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ხორციელდება არაფორმალური აქტივობები, სასწავლო პროექტებში ერთიანდებიან სხვადასხვა კლასის მოსწავლეები, სხვადასხვა საგნის მასწავლებელი, მშობელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი და მათი ურთიერთთანამშრომლობით მიიღწევა დადებითი შედეგი. ამ მხრივ, აღსანიშნავია საკლუბო მუშაობის წვლილი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული სხვადასხვა ტიპის დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, ელექტრონული რესურსები. სოციალურ ქსელში, სკოლის გვერდზე სისტემატურად აისახება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა ანგარიშები, სადამრიგებლო პროგრამები. კომუნიკაცია მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს, სკოლის დირექციასა და ადმინისტრაციასთან უწყვეტი და დინამიკურია.

ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში არის სოციალურად, ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემო. ჩანს, რომ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები ერთად მუშაობენ პოზიტიური გარემოს შექმნისათვის, ამას ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბები, პროექტები და არაფორმალური აქტივობები, რომელიც მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება. სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულნი არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა პირისპირ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა სათათბირო, რომელიც მონაწილეობს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების მოკვლევასა და განხილვაში. სასკოლო საზოგადოება ჩართულია ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციულ ღონისძიებებში. პანდემიის პერიოდში სკოლა განსაკუთრებით თანამშრომლობდა მშობლებთან, აგგენდა მათთვის ელექტრონულ კითხვარს და ამ ფორმით იკვლევდა საჭიროებებსა და ინტერესებს. დამრიგებლები თავიანთ ანგარიშებში წარმოაჩენენ მშობელთა ჩართულობის ფორმებსა და აქტივობებს.

ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობელთა სათათბირო;
- მშობელთა გამოკითხვა;
- ბროშურა მშობელთათვის.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის მეთოდოლოგიის ჩარჩო/გეგმა, რომელშიც სკოლა აღნიშნავს, რომ კურიკულუმი შედგენილია სკოლის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებაში ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრები (მასწავლებელი, საგნობრივი კათედრები, დირექცია, მშობელი). ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლას აქვს წარმოდგენილი მკაფიო ხედვა, სადაც მონიტორინგს და შეფასებას განიხილავს სასწავლო პროცესის თანმდევ მექანიზმად. სკოლას დეტალურად აქვს გაწერილი შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტები, წარმოდგენილია სასწავლო პროცესის შეფასების ინდიკატორები და მონაცემების შეგროვების გზები.

ინდიკატორი 2..3.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (გაკვეთილზე დასწრების რეფლექსიები, საგნობრივი კათედრების ოქმები, დასწრების აღრიცხვის ჟურნალი, კლასის ხელმძღვანელის ანგარიში- სამუშაო გეგმები,) ნათლად ჩანს, რომ სკოლაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და წახალისებაზე. აღნიშნულს ადასტურებს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისების მიზნით გამოცემული ბრძანება. 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია კათედრების სამოქმედო გეგმა, სადაც გამოკვეთილია მონიტორინგსა და შეფასებაზე ორიენტირებული აქტივობები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მასწავლებელთა თვითრეფლექსიის შედეგები, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი.

ინდიკატორი 2..3.1.2 დაკმაყოფილებულია

3. 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას თვითშეფასების საფუძველზე წარმოდგენილი აქვს გასავითარებელი მიმართულებები. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში იგეგმება კვლევითი კითხვარის შექმნა, რომელიც დააზუსტებს არა მხოლოდ მოსწავლეთა ინტერესებს, არამედ მასწავლებელთა მიგნებებსა და საჭიროებებს. გამოყენებული იქნება ელექტრონული კითხვარი, რომლის ანალიზის შედეგები აისახება სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. ასევე პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე იგეგმება სწავლა-სწავლების პროცესში არსებული გამოწვევების განხილვა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლას განსაზღვრული აქვს მკაფიო ხედვა გამოკვეთილი პრობლემების შესაბამისად თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ისე მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარების კუთხით. თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში აისახება მონიტორინგისა და შეფასების ვალიდური რუბრიკები შეფასების ინსტრუმენტებით.

ინდიკატორი 2..3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გაკვეთილზე დასწრების რეფლექსიები
- კლასის ხელმძღვანელის ანგარიში
- დასწრების აღრიცხვის ჟურნალი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- თვითშეფასება
- კათედრის ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. საშუალო საფეხურის კურიკულუმებიდან და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხდება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით, რაც ჩანს სადამრიგებლო პროგრამებში, პედაგოგიურ/ საბჭოს/კათედრის /მშობელთა ოქმებში, რომლებშიც ასახული და განხილულია მოსწავლეთა მიღწევები და გამოკვეთილი პრობლემები/ დაგეგმილი ინტერვენციები. ამასთანავე კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში იკვეთება სკოლის ხედვა და სამომავლო მზაობა მოსწავლეთა სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შეფასების შესახებ. აღნიშნულ მსჯელობას ადასტურებს მასწავლებლებთან/სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებაც. მოცემული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.
ინდიკატორი 2.3.2. 1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტითა და შეფასების რუბრიკებით დასტურდება, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტსა და ფაქტორზე დაყრდნობით, ვინაიდან ყველა მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია. ეს საშუალებას იძლევა მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასებისას გამოვლინდეს მისი სხვადასხვა უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაშიც ჩანს, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასება მოახდინოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მაგალითად, მოსწავლის მიღწევების/საჭიროებების, მისი სოციალურ და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობის მონიტორინგით, რასაც ადასტურებს საშუალო საფეხურის კათედრის/მშობელთა სხდომის ოქმები. სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო

პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და შემდგომში დაგეგმოს შესაბამისი ინტერვენციები. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.3.2. 2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ასევე ,სტრატეგიული განვითარების გეგმაში ნათლად ჩანს სკოლის მზაობა და ხედვა მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების შესახებ მაგალითად, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, თვითშეფასება. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შეფასებისთვის გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი წყაროები: ანკეტირება, დაკვირვების ფურცელი, ინტერვიუ, კრიტიკული მეგობრის რეფლექსია და სხვა. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

ინდიკატორი 2.3.2.3.. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კათედრები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლებას, რაც იძლევა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების საშუალებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და კლასის ორგანიზების ფორმების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პრეზენტაცია და სხვა. შეფასება ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით, რაც მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ ისინი ყველა საფეხურზე იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. შეფასება ხდება მოსწავლის ფსიქო-სოციალური, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე მასწავლებლებთან/ სპეცმასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სსსმ მოსწავლეებისთვის შედგენილია შეფასების გამარტივებული ვარიანტი, რაც გულისხმობს, რომ სამიზნე ცნებები იგივე რჩება, მაგრამ მარტივდება, მცირდება მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები და ქვეცნებები, ასევე პროდუქტის წარდგენის სახე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის მიზნით, ხოლო სკოლის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ "წლის ბოლოს ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენისას პედაგოგიური საბჭოს წინაშე იგეგმება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავება. შესაძლებელია მთელი წელი კურიკიულუმის დანერგვა და მონიტორინგი. ტარდება კათედრების სხდომები და ერთობლივად გამოვკვეთთ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, ვაყალიბებთ სამომავლო ხედვებსა და ვეძებთ გაუმჯობესების გზებს." თუმცა ამ ეტაპზე არ არის მითითებული რა სახით ხდება რეფლექსია და საჭიროებების კვლევა. სკოლა ხედავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის აუცილებლობას.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია

2. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება, ხოლო მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის ბოლოს მოხდება საგნობრივ კათედრებზე აზრთა გაზიარება აღნიშნული საკითხის შესახებ; სასწავლო პროცესში შექმნილი მატრიცების, შესრულებული კომპლექსური დავალებების ანალიზისა, შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის საფუძველზე მოხდება ახალი კურიკულუმების შედგენა თითოეული კლასისათვის. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას "დაწერილ/შეთანხმებულ" და "აღსრულებულ" კურიკულუმს შორის.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამოქმედო გეგმა
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- ინტერვიუ პედაგოგებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თავმჯდომარე: თამარ აბაზაძე

ნათია ფხალაძე ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი-წევრი;

ლია ბოგვერაძე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი-წევრი;

ლელა კაკაშვილი საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი-წევრი;

თაია მამარდაშვილი უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი-წევრი;

ნატო შაინიძე ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი-წევრი;

ნანა ნოზაძე ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი-წევრი;

თამარ ოძელაშვილი სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი-წევრი;

ნინელი ცერცვაძე მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი-წევრი;

ქეთევან ქობალია სპორტის საგნობრივი ექსპერტი-წევრი;

ლელა მანგოშვილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი-წევრი;

14.11.2023
თარიღი